ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 246 (19687) კვირა, 26 ოქტომბერი, 1986 წელი. ფასი 3 კაპ.

მარად უღრუბლო იყოს შენი ცა, დედაქალაქო!

თბილისი და თბილისელები

არის ქალაქების სახელწოდება, რომელთა თვით ეფერადობა რომანტიკულია. ასეთად მიგვაჩნია ჩვენ, თბილისელებს, ჩვენი ქალაქის სახელწოდება. წარმოთქვამ მას, და თვალები გინათდება. ქეთილი ღიმილი გიცისკროვნებს სახეს და ნათლად წარმოგიდგება ლამაზი ლეგენდა დედაქალაქის დამაარსებლის ბრძენ ვახტანგ გორგასლის, ჯადოსნური წყაროების შესახებ, რომლებმაც სახელი მისცეს ქალაქს.

ვინც ერთხელ მაინც ყოფილა თბილისში, მის ძველ უბნებსა თუ ახალ მიკრორაიონებში, შენიშნავდა, რომ ჩვენი ქალაქის ისტორია ცხოვრების, ბრძოლის, სიკეთისა და სიყვარულის ჰიმნია.

თბილისობის წინა დღესაც კი შეუძლებელია ქალაქის ისტორიის მოყოლა. ეს, ალბათ, საჭიროც არ არის. ფენომენად მონათლეს ცნება: „თბილისი და თბილისელები". ასეთი განმარტების უტყუარობის განსჯას არ ვაპირებთ. მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ მის შესახებ დიდ ილიაზე უკეთესად ვერ იტყვი: **„ტფილისი ჩვენი შვობელი ქალაქია. ყველანი, ვინცა აქა ვშობილვართ — აქა ვცხოვრობთ, აქა ვტრიალებთ — რა მილეთისაც გინდ იყოს კაცი, მისი შვილები ვართ და სამსახური უნდა გავუწიოთ ერთნაირის ნატვრითა, რომ ჩვენი დედაქალაქი გამოკეთდეს, მოფაქიზდეს, მოჯანმრთელდეს".**

მაინც რამდენი ვართ ჩვენ, თბილისელები? თურმე, მილიონს ას ოთხმოცდაშვიდი ათას ხუთასი ვყოფილვართ.

— მაგრამ ეს ციფრი სწორია მხოლოდ მიმდინარე წლის პირველი ივლისისთვის, — თქვა ქალაქის სტატისტიკური სამმართველოს უფროსმა დავით კბილაძემ. — ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველდღიურად იბადება 58 პატარა თბილისელი და ამას დავუმატებთ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებიდან და სოფლებიდან ჩამოსულთა რიცხვს, რომლებსაც, ძირითადად, ქალაქის სიყვარული ამოძრავებთ, თბილისობის დღესასწაულისთვის გავხდებით მილიონ ას ოთხმოცდაათი ათასი. „იუბილარის" სახელსა და გვარს დამატებით გაცნობებთ...

93 ერი და ეროვნება ცხოვრობს აქ ერთიან მეგობრულ ოჯახად. მეგობრობა თბილისელთა დამახასიათებელი ნიშანია დასაბამიდან.

თბილისი წამყვან როლს ასრულებს რესპუბლიკის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. მთელი სამრეწველო პროდუქციის მესამედს უშვებენ ქალაქის საწარმოები.

ბევრი სამახსოვრო დღე აქვთ თბილისის მცხოვრებლებს. ცხოვრჯერ მოიპოვა ჩვენმა ქალაქმა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. დედაქალაქის ძლევამოსილ დროშას ამშვენებს სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

(დასასრული 80-4 გვ.)

ახლა ყველა გზა მშვიდობას უხმობს

რეიკიავიკის ექო

ჩვენს დინამიკურ თანამედროვეობაში ძნელია რომელიმე ერთმა მოვლენამ დიდი ხნით დაიპყროს მსოფლიოს საერთაშორისო წრეების და ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება. ასეთი რამ მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც საკითხი ეხება ომსა და მშვიდობას, კაცობრიობის ყოფნა-არყოფნას, ბირთვული კოშმარისაგან ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლებას. სწორედ ასეთ მოვლენად აღიქვა მსოფლიომ რეიკიავიკის შეხვედრა, რის დასტურადაც იქცა გამოსაურებათა უწყვეტი ნაკადი, რომელთა ნაწილს დღეს გთავაზობთ.

უკვე ათ დღეზე მეტი გავიდა რეიკიავიკში საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეხვედრის შემდეგ, მაგრამ ინტერესი დღევანდელობის ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის გამო ჯერაც არ დამცხრალა. მსოფლიოს ხალხები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ერთსულოვნად უჭერენ მხარს სსრ კავშირის პრინციპულ პოზიციას, მის კონსტრუქციულ წინადადებებს, რომელთა მიზანია მშვიდობის უზრუნველყოფა მთელ პლანეტაზე. თუმცა ისლანდიის დედაქალაქში გამართულ შეხვედრაზე ვერ მოხერხდა სასურველი შედეგების მიღწევა, პლანეტის მშვიდობისმოყვარე ხალხებს მაინც მიანჩიათ, რომ ამ შეხვედრამ ნიადაგი მოუმზადა ბირთვული საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნას, რომ, „ომისა და მშვიდობის პრობლემები შეიძლება გადაიჭრას, ოღონდ ამ სიტუაციის სწორი გაგების პირობით". ამას მოწმობს გამოსაურებები, რომლებიც რედაქციაში მოდის ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისგან თუ ტელეტაიპის ლენტით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან.

დავიცვათ კაცობრიობის მომავალი

შ. ჯლარკავა,
„თბილისგვირაბმშენის" გვირაბგამყვანი:

კაცობრიობას ახლა არა აქვს იმაზე უფრო მნიშვნელოვანი და აქტუალური ამოცანა, ვიდრე ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილება, რომელიც პლანეტას ემუქრება. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა რეიკიავიკის შეხვედრისადმი მიდგომა შეგვიძლია მივიჩნიოთ პოლიტიკური სიმწიფის, მსოფლიოს ბედისათვის პასუხისმგებლობის შეგნებისა და დაძაბულობის შენელების და განიარაღების პრობლემების გადაჭრისას გულწრფელობის თავისებურ შემოწმებად. სამწუხაროდ, ისინი ტოლფასოვანი არ აღმოჩნდნენ. თუ ჩვენი ქვეყნის პატიოსანმა და გულადღიმა პოზიციამ ეს გამოცდა ჩაბარა, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის პოზიციაზე ამას ვერ ვიტყვით. ამერიკის უარს — საოად შეხედოს შექმნილ მდგომარეობას, მის მტკიცებებს, თითქოს „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის" პროგრამა მხოლოდ „მშვიდობიანი" ხასიათისა იყოს, მოაყვა ის, რომ შენელებას უქმნიან გამალებული განიარაღების მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე პრაქტიკულად მიღწეული თანხმობა ვერა და ვერ განახორციელეს მხარეების დამაკავლებულებულ მორიგებად.

რა თქმა უნდა, მესმის, რომ პრეზიდენტი რეიგანი თავისუფალი არ არის თავის გადაწყვეტილებებში და თუ მთლიანად არა, ბევრი რამით დამოკიდებულია ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საქმოსნებზე. მაგრამ მიუხედავად ამისა მიმაჩნია: ის სიტუაციაში, როცა წყდება კაცობრიობის ბედი და სწორედ შენ, როგორც მხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა თქვა, ეკისრება ისტორიული შანსი გაათავისუფლო მსოფლიო მომავლინებელი ტვირთისაგან, უნდა იყო უფრო მტკიცე და კონკრეტული საკუთარი ქცევითა და საქმეებით.

პლანეტას სჭირდება მშვიდობა, ხვალინდელი დღის რწმენა. ეს ყველასათვის ნათელია დღეს. ეს იცის ამერიკელმა ხალხმაც. გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ბოლოს და ბოლოს თეთრ სახლშიც გაიგებენ ამას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ოპტიმიზმს არ ვკარგავთ და ყველაკაც განვამტკიცებთ მშვიდობას შრომით, სხვა ქვეყნების ხალხებთან, მათ შორის ამერიკელ ხალხთან, მეგობრობით.

ოთარ შალამბერიძე

ახლა სიფრთხილე ყველაფერს
სჯობს —
ქარი არწევდეს თითქოს მზის
აკვანს;
ხელები შორს,
ხელები შორს,
ხელები შორს —
მშვიდობისაგან!
ახლა ყველა გზა გონებას
უხმობს,
ნიჭს და გონებას უხმობს
ყველა გზა,
რომ დადგა ჟამი —
უომრად, უხმლოდ

მშვიდობის ლექსი

დავფუსფუსებდეთ ჩვენ-ჩვენს
კერასთან,
რომ მორიგებით
და არა წყრომით,
საუკეთესოს ვსჯიდეთ არწევანს;
ვის რაში უნდა ისეთი ომი,
მეჯობნის სახელი თუ არ
დარჩება?!
ვინა ხარ შენ,
ვინა ხარ შენ,
მიზნად სიკეთეს რომ არ
ისახავ?!
არ გადმოვარდეს აკვნიდან მზე,
ხელები შორს —
მომავლისაგან!
მილეთის ხალხი თანხმობას
გთხოვს,
ეგ სულ ერთია,
თუ რა მხრისა ხარ;
ხელები შორს,
ხელები შორს —
სუფთა ცისაგან!
ვერ მოგიზომავს სიმაღლე
ქორს,
გულში რა გიდევს,
ფრთებს რომ იწაფავ?!
ხელები შორს,
ხელები შორს —
საბჭოდისწერო შეცდომისაგან!...
ვის სულშიც წვიმს,
ვის სულშიც თოვს,
ვის სულშიც ცივა,
იქნებ ისა ხარ?!
ხელები შორს,
ხელები შორს —
ჩემი სამშობლოს დიდებისაგან!
ოდითგან ვებრძვით ყოველგვარ
კედომას,
და ყველამ ვიცით,
და ყველას ვვსმის,
რომ ცოტას ნიშნავს მიწაზე
დგომა,
თუ არ გაიდგი მიწაში ფესვიც!..
მაშ, მხარი მივცეთ იმედის
ზრდას,
დე, იშრიალონ სულში
ფოთლებმა.
ხელები შორს,
ხელები შორს! —
შორს ომის საფრთხე და
შეშფოთებე!

15 ოქტომბერი, 1986 წ.

ს. კილაძის ფოტოპლაკატი.

ზამთრის წინ

თბილის-ხაშურისა და ნავთლუღ-თელავის უბნებზე თითქმის ყველა საქმაბე და თბოტრასა მზად არის ზამთრის პირობებში სამუშაოდ.

გრძელდება საცხოვრებელი სახლების რემონტი. რესპუბლიკის დედაქალაქის ორჯონიკიძის, შირაქის, კაკაბეთის, ბ. ხმელნიცკის ქუჩებზე მდებარე სახლებში მთლიანად დამთავრდა შენობების შემინვა, სახურავის რემონტი.

— ყველა ამ საქმეში გვეხმარებიან შეფი ორგანიზაციების მუშაკები, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ტექნიკუმების მოსწავლეები, — თქვა ამიერკავკასიის რკინიგზის სამოქალაქო ნაგებობათა ნავთლუღის დისტანციის უფროსმა გ. გაბუნიამ. — თბილისის სახარისხებელი სადგურის ეზოში, სადაც საცდელად ჩავრთეთ ახალი საქვაბე, 19 ოქტომბერს ორგანიზებულად გამოვიდნენ საწარმოს მშრომელები, აგრეთვე მიკრორაიონის მცხოვრებლები.

მაგრამ, შეშფოთებას ის იწვევს ის, რომ ფერხდება თბილისის სახარისხებელი სადგურის სალოკომოტივო დეპოში, მელაანის, ლიოლის სადგურებში ქვანახშირისა და საცეცხლის მაზუთის საჭირო მარაგის შექმნა. ყურადღებას მოითხოვს თბილისის საკვანძო სადგურის წყლითა და ელექტროენერგიით უზრუნველყოფის პრობლემის გადაჭრაც.

ოთხასი ტონა მაზუთი მოიმარაგეს თბილისის საწარმოო გაერთიანება „ისაში". სათბობის ეს რაოდენობა საკმარისია იმისათვის, რომ საამქროებმა და ფილიალებმა ერთ თვეს იმუშაონ იმ შემთხვევაში, თუ შეფერხდება საწარმოს გაზით მომარაგება.

ზამთრისთვის მზადება გრძელდება. უკვე შეკეთდა სახურავი, ჩაისეა 380 კვადრატული მეტრი მინა, შესრულდა ოთხი საამქროს, ექვსი ნაკადური ხაზის მოწყობილობის კაპიტალური და მიმდინარე რემონტი.

ხორციელდება ნედლეულის საჭირო მარაგის შექმნის ღონისძიებანი.

— მაგრამ არის პრობლემებიც, — თქვა გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ა. ქანტერიამ. — სამშენებლო სამუშაოთა დროული შესრულებისათვის საჭიროა ბილი საფარი ცემენტი და სხვა მასალები, მათი მოწოდება კი ფერხდება. ველით, რომ ჩვენი საუბუქი მრეწველობის სამინისტრო საჭირო დახმარებას გაგვიწევს ასეთი მოწოდებების დაჩქარებაში.

ბ. ბოგბეჯიშვილი,
გულრიფშის რაიონის ვანახლების კოლმეურნეობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე:

ვფიქრობ, რომ ახლა, რეიკიავიკის უმაღლესი დონის შეხვედრის შემდეგ, საღად მოაზროვნე ადამიანს უკვე არ შეეპარება საბჭოთა კავშირის გულწრფელ მისწრაფებაში აღმოფხვრას ომის საფრთხე, შეინარჩუნოს მშვიდობა დედამიწაზე. როგორც საბჭოთა ტელევიზიით გამოსვლისას აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა, ჩვენმა მხარემ ქვაკუთხედად დაიყარა მსოფლიო პოლიტიკის მთავარი საკითხები — გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, ბირთვული განიარაღება.

შაგიდზე დაიდო მნიშვნელოვან ღონისძიებათა მთელი პაკეტი, რომლებიც ხელს შეუწყობს კაცობრიობის ცხოვრებაში ახალი ეპოქის—უბირთვო ეპოქის დაწყებას, მაგრამ, როგორც ჩანს, სულ სხვა ზრახვები ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს. ყბადაღებული ვარაუდი, თეზისი იმის შესახებ, რომ სსრ კავშირი საბოლოო ანგარიშით ეკონომიკურად ვერ გაუძლებს გამალებულ შეიარაღებას, დასუსტდება და ქედს მოიხრის დასავლეთის წინაშე, როგორც საბჭოთა ხელმძღვანელმა აღნიშნა, უსაფუძვლოა და შეიძლება მოსყვეს საბედისწერო პოლიტიკური გადაწყვეტილებანი.

ჩვენი კოლმეურნეობის მშრომელებს, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, არ სურთ ომი. ჩვენი მისწრაფებანი არსებითად მშვიდობიანია — გავაშენოთ ბაღები, მოვიწიოთ მოსავალი, ვაშენოთ სახლები, გავზარდოთ ბავშვები. მაგრამ ისიც შეგვიძლია, რომ პასუხი გავცეთ ყოველგვარ გამოწვევას, თუ ეს საჭირო იქნება. ეს არის საჭირო ძალისმიერი თამაში. ეს, როგორც მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, მეტად საშიშია რაკეტულ-ბირთვულ საუკუნეში.

ასმ ფიქრობენ ამერიკელები

● **თადარიბის** გენერალი პალმერი, როგორც შტაბების უფროსთა კომიტეტის წარმომადგენელი, არაერთხელ გამოსულა პენტაგონის პროექტების დასაცავად კონგრესში.

რეიგანის დემაგოგიურ განცხადებასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის მხარე საბჭოთა კავშირს გაუზიარებს „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის" პროგრამით შექმნილ ახალ ტექნიკასა და ტექნოლოგიას, ენ-ბი-სის კორესპონდენტთან საუბარში მან თქვა: იგი (რეიგანი)—ან ცუდი რჩევით ხელმძღვანელობს, ან დაუფიქრებლად იქცევა. მას უნდა პირდაპირ ვუთხრათ, რომ ასეთი გადაწყვეტილება სულელური იქნებოდა, რომ ამერიკელი სამხედროები ხელს არ აიღებენ ტექნიკისა და ტექნოლოგიის სფეროში უპირატესობის იდეაზე".

● **„ეს** კაცობრიობის სევდიანი დღეა — აღნიშნა იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის კორესპონდენტთან საუბარში სენატის უცხოეთის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე სენატორმა პელმა. — მე ღრმა სინანულს გამოვთქვამ ადმინისტრაციის უუნარობის გამო ხელშეკრულება დაედო მაშინ, როდესაც ჩვენ ასე ახლოს ვიყავით მასთან. როგორც ამ ერთი წლის წინათ ვთქვი, რეალური კომპრომისი არის და იქნება ის, რომ სტრატეგიული შეტევითი იარაღის სერიოზულ შემცირებას მივაღწიოთ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის ექვივალენტური შემცირების სანაცვლოდ".

● **„გულგაბეჭილობა,** შეშფოთება და იმედი — ასე შეიძლება დავახასიათოთ რეიკიავიკის შეხვედრის შემდგომი განწყობილება, — განაცხადა სი-ბი-ესის საღამოს პროგრამის წამყვანმა დინ რაზერმა. — გულგატეხილობა იმიტომ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა ვერ მიაღწია შეთანხმებას შეიარაღებისადმი კონტროლისა და განიარაღების საკითხში, შეშფოთება იმიტომ, რომ ორმა სახელმწიფომ შეიძლება ხელიდან გაუშვას შანსი, რომელიც აღარ გამეორდება, და იმედი იმიტომ, რომ მოლაპარაკების პროცესში წამოყენებული წინადადებები შეიძლება მომავალ შეთანხმებათა გასაღებად იქცეს".

ნინადადებები ქალაში რჩება

ზ. ბოგბიჩაიშვილი,
თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების მლარავი:

ყველა დაბრკოლების მიუხედავად, რომლებსაც დაძაბულობის შენელებას უქმნიან გამალებული შეიარაღების მომხრენი, საბჭოთა კავშირი განაგრძობს მიზანდასახულ, თანმიმდევრულ სამშვიდობო პოლიტიკას. ეს ოპტიმიზმს და უკეთესი მომავლის იმედს გვინერგავს. დარწმუნებული ვარ, ბევრი ქვეყნის კეთილი ნების ადამიანებიც ამავე აზრისანი არიან. და თუმცა რეიკიავიკის შეხვედრას საბოლოო ანგარიშით არ მოუტანია ის პოზიტიური შედეგი, რომელსაც მისგან მთელი მსოფლიო ელოდა, ყოველი ობიექტურად განწყობილი აკეთესათვის ცხადია, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა ამაოდ არ დამშვრალა. ახალი სამშვიდობო ინიციატივები, რომლებიც შეხვედრაზე ჩვენმა ქვეყანამ წამოაყენა, იმდენად მასშტაბური და აქტუალურია, რომ მათ თავისთავად შეუძლიათ მძლავრი იმპულსი მიანიჭონ მშვიდობისა და საყოველთაო განიარაღებისათვის ბრძოლას. შემთხვევითი როდია, რომ ამ წინადადებებმა ფართო საერთაშორისო მხარდაჭერა პოვა, რომ სულ უფრო მეტ ადამიანს ესმის მსოფლიოში, თუ ვინ იღებს საქმით განიარაღებისათვის და, პირიქით, ვინ იშველიებს ცრუ რიტორიკას, რათა არ დაუშვას იგი.

სამწუხაროდ, პრეზიდენტმა რეიგანმა სწორედ ეს კურსი აჰყოლინა, რომელიც სსრ კავშირთან შედარებით სამხედრო უპირატესობის მოპოვებას ისახავს მიზნად. ამერიკის შეერთებული შტატები ვერ ელევა „ვარსკვლავეთის ომების" პროგრამას, აპირებს ბირთვული გამოცდების განგრძობას, ხოლო რაც შეეხება საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკას, საყოველთაო განიარაღების ღრმად გააზრებულ პროგრამას, თეთრი სახლი ამჯობინებს დაუმალოს იგი თავის ხალხს, ისევე როგორც მალავს სამართლეს იმის შესახებ, თუ რა მოხდა რეიკიავიკში. მაგრამ გვინდა იმედი გვქონდეს, რომ პოზიცია, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დიაკავა, არ არის საბოლოო და რომ ფხიზელი განსჯის შემდეგ იგი და მისი მთავრობა გადასინჯავენ მას. ყოველ შემთხვევაში, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა აღნიშნა საბჭოთა ტელევიზიით გამოსვლისას, ჩვენ არ ვხსნით ჩვენს წინადადებებს. ყველაფერი, რაც მათი დასაბუთებისა და განვითარებისათვის ითქვა, ძალაში რჩება.

რწმენის ძალა

ა. გოგბეჯიშვილი,
გულრიფშის რაიონის ვანახლების კოლმეურნეობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე:

ვფიქრობ, რომ ახლა, რეიკიავიკის უმაღლესი დონის შეხვედრის შემდეგ, საღად მოაზროვნე ადამიანს უკვე არ შეეპარება საბჭოთა კავშირის გულწრფელ მისწრაფებაში აღმოფხვრას ომის საფრთხე, შეინარჩუნოს მშვიდობა დედამიწაზე. როგორც საბჭოთა ტელევიზიით გამოსვლისას აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა, ჩვენმა მხარემ ქვაკუთხედად დაიყარა მსოფლიო პოლიტიკის მთავარი საკითხები — გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, ბირთვული განიარაღება.

შაგიდზე დაიდო მნიშვნელოვან ღონისძიებათა მთელი პაკეტი, რომლებიც ხელს შეუწყობს კაცობრიობის ცხოვრებაში ახალი ეპოქის—უბირთვო ეპოქის დაწყებას, მაგრამ, როგორც ჩანს, სულ სხვა ზრახვები ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს. ყბადაღებული ვარაუდი, თეზისი იმის შესახებ, რომ სსრ კავშირი საბოლოო ანგარიშით ეკონომიკურად ვერ გაუძლებს გამალებულ შეიარაღებას, დასუსტდება და ქედს მოიხრის დასავლეთის წინაშე, როგორც საბჭოთა ხელმძღვანელმა აღნიშნა, უსაფუძვლოა და შეიძლება მოსყვეს საბედისწერო პოლიტიკური გადაწყვეტილებანი.

ჩვენი კოლმეურნეობის მშრომელებს, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, არ სურთ ომი. ჩვენი მისწრაფებანი არსებითად მშვიდობიანია — გავაშენოთ ბაღები, მოვიწიოთ მოსავალი, ვაშენოთ სახლები, გავზარდოთ ბავშვები. მაგრამ ისიც შეგვიძლია, რომ პასუხი გავცეთ ყოველგვარ გამოწვევას, თუ ეს საჭირო იქნება. არ არის საჭირო ძალისმიერი თამაში. ეს, როგორც მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, მეტად საშიშია რაკეტულ-ბირთვულ საუკუნეში.

„გაანთიადს" დაბადების დღე აქვს

ორშაბათ საღამოსასწაულო გახდა წლევანდელი თბილისობა ავეჯის საწარმოო გაერთიანება „გაანთიადის" კოლექტივისათვის. მისი მშრომელები საწარმოს დაარსების 30 წლისთავს აღნიშნავენ. ამ საწარმომ განვლო გზა ნახევრად კუსტარული წარმოებიდან ამიერკავკასიაში დარგის ერთ-ერთ უდიდეს საწარმომდე. მისი წლიური წარმოების მოცულობა სამი მილიონიდან 35 მილიონ მანეთამდე გაიზარდა. მძიმე ხელის შრომა მექანიზებულმა და ავტომატიზებულმა ჩარხებმა და ხაზებმა შეცვალა. პროდუქციის 70 პროცენტს აქ ხარისხის ნიშნით უშვებენ. რესპუბლიკის მოსახლეობა კარგად იცნობს აქ დამზადებულ ავეჯს კაბინეტის, საძინებლის, წინკარისა თუ სამზარეულოსათვის...

ათასხუთასკაციან კოლექტივში ბევრი წარჩინებული მუშაკი შრომობს: საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, დურგალი ლ. სეთური, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, დურგალი ე. გელაშვილი, ბევრი სხვა.

მეთორმეტე ხუთწლედში გაერთიანების კოლექტივს დიდი და პასუხსაგები ამოცანები აქვს — მან თითქმის ერთიორად უნდა გაზარდოს წარმოების მოცულობა. ამის გაკეთება გადაწყვეტილია შემდგომი ტექნიკური განახლების, არსებული რეზერვების სრული გამოყენების მეშვეობით.

თბილისელებთან საიუბილეო ზეიმის სიხარულის გასაზიარებლად კაუნასის ავეჯის გაერთიანების წარმომადგენელი კოლეგები ჩამოვიდნენ. მონათესავე საწარმოებს კარგა ხანია საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ. თბილისელები და კაუნასელები სისტემატურად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, წარმატებების „საიდუმლოს".

... უჩვეულოდ გამოიყურებოდა „გაანთიადი" თავისი დაბადების დღეს. გაყუჩებულიყო ჩარხები, არ მოძრაობდა ხაზები და აგრეგატები. სამაგიეროდ საწარმოს მთელ ტერიტორიაზე ისმოდა მუსიკა, სიცილი, სიმღერა. ყველგან გაიგონებდით ბავშვების წკრიალა ხმას. იუბილარების მოსალოცად მოვიდნენ გაერთიანების მუშაკთა შვილები, აგრეთვე მათი საშეფო — თბილისის 1 ბავშვთა სახლის აღსაზრდელები. ბევრმა მათგანმა უკვე აირჩია მომავალი პროფესია, გადაწყვიტა მეავეჯე გახდეს.

დღესასწაულში, რომელსაც საწარმოს სახელის პატივსაცემად „გაანთიადობა" ეწოდა, მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი. მან საწარმოს კოლექტივს მოულოცა იუბილე, საწარმოო წარმატებები, გაეცნო საამქროების მუშაობას, ავეჯის ახალ ნიმუშებს, ესაუბრა მუშა-მოსამსახურეებს, გამოიკითხა, როგორია შრომის, ყოფისა და დასვენების პირობები, საწარმოს განვითარების პერსპექტივა და ა. შ.

(საქინფორმი).

სსრ კავშირიდან გაემგზავრნენ

24 ოქტომბერს დანიის პრემიერ-მინისტრი პოულ შლუტერი მეუღლითურთ სსრ კავშირიდან გაემგზავრა. იგი ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ ვიზიტად იყო ჩამოსული საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

(საკადესი).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

მაიკლ ფერელი: კეთილი მეზობლებივით ვიცხოვროთ

— იმედი გამიცრუა რეიკიავიკის შეხვედრის შედეგებმა. ჩემი აზრით, რეიგანის მხრივ სისულელეა, ასე გააფთრებით რომ ჩაბღაუჭებია სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის გეგმას, მით უმეტეს, რომ სპეციალისტები მის სრულ უსაფუძვლობას ამტკიცებენ. ჩვენ დიდი ხანია უნდა შეეერთებოდით საბჭოთა მორატორიუმს, არ გაგვეზარდა გამალებული შეიარაღება, — განუცხადა საინფორმის კორესპონდენტს სტივ ვილიამსმა — ლოს-ანჟელესელმა ფოტოგრაფმა. იგი საბჭოთა კავშირში მოგზაურობს ამერიკელ ტურისტებთან ერთად.

— აღტაცებული ვარ საქართველოთი, — თქვა ვილიამსმა. რა თბილი ჰავა ყოფილა, რა გულითადი ადამიანები ცხოვრობენ აქ. თქვენი რესპუბლიკა ჩემთვის აღმოჩენა იყო.

ჩვენში გავრცელებული იმ აზრის მიუხედავად, თითქოს ყველა საბჭოთა ადამიანი კარჩაკეტილი და უნდო იყოს, ერიდებოდეს უცხოელებთან ურთიერთობას, დავრწმუნდი, რომ ისინი მეტად კეთილმოსურნე, სტუმართმოყვარე და გულღიმა ადამიანები არიან.

სტივ ვილიამსს მიაჩნია, რომ საბჭოური ცხოვრების წესი მიუღებელია ამერიკელებისათვის, ისევე, როგორც ამერიკული — საბჭოთა ადამიანებისათვის, მაგრამ, თქვა მან, უნდა ვისწავლოთ კეთილი მეზობლებივით ცხოვრება. სწორედ ამან უნდა გაგვაერთიანოს ჩვენ.

ამ აზრს ეთანხმება მაიკლ ფერელიც „მოქალაქეთა გაცვლის საბჭოს" თავმჯდომარე. იგი ახლავს ტურისტულ ჯგუფს, რომელთან ერთადაც სტივ ვილიამსი ჩამოვიდა. მაიკლი თავისუფლად ლაპარაკობს რუსულად. საბჭოთა კავშირში უკვე ოცდამეხუთეჯერ ჩამოდის.

— ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის კულტურული ურთიერთობის განმტკიცება ჩვენი ხალხების დაახლოების გზაა, — თქვა მან. — ტურიზმი ამას უწყობს ხელს. მოგზაურობის დროს შესაძლებლობა გვეძლევა დავამყაროთ ცოცხალი ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნის ადამიანებთან.

გულწრფელად გვსურს, რომ ამერიკელი და საბჭოთა ხალხები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. მაგარებს ჩვენი ქვეყნების ხელმძღვანელთა შორის დაწყებული დიალოგი, თუმცა რეიგანს ვერ ვაპატიებ რეიკიავიკის შეხვედრის წარუმატებლობას. მაგრამ ვიყოთ ოპტიმისტები: დიალოგი ხომ გრძელდება.

ᲝᲚᲔ ᲑᲝᲠᲒᲡᲢᲠᲔᲛᲛᲘ: ᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲕᲘᲪᲘᲚᲝᲗ

საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მოწვეითი ჩვენს ქვეყანაში იყო შვეიცის მეზღვაურთა პროფკავშირის დელეგაცია. ოთხი დღის განმავლობაში იგი ეცნობოდა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს საქმიანობას.

სტუმრების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ბათუმის საზღვაო სასწავლებელმა, აგრეთვე ბათუმის მეზღვაურთა ინტერკლუბმა.

მე მომხრე ვარ სსრ კავშირის სამშვიდობო ინიციატივებისა, თქვა შვეიცის დელეგაციის ხელმძღვანელმა ოლე ბორგსტრემმა. — რეიკიავიკის შეხვედრაზე მ. ს. გორბაჩოვმა კიდევ ერთხელ შესთავაზა ამერიკელებს განიარაღების ვარიანტები, მაგრამ იმის გამო, რომ პრეზიდენტმა რ. რეიგანმა არ მოისურვა მიეღო კონსტრუქციული გადაწყვეტილებანი, შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდა. მსოფლიოს კვლავ ემუქრება ბირთვული ომის საფრთხე, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა ავიცილოთ თავიდან.

№ 246 (19687) კვირა, 26 ოქტომბერი, 1986 წელი. ფასი 3 კაპ.

წინა პლანზეა გადაყვანა-გადაზიდვის ხარისხი

საკავშირო XXVII ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობამ ავტოტრანსპორტის მუშაკებს სერიოზული ამოცანები დაუსახეს, რომლებიც ავტოტრანსპორტის მუშაობის სრული გარდაქმნის საფუძველზე უნდა გადაწყდეს. ამისათვის საჭიროა გაბედულად გავავრცელოთ იმ გაერთიანებათა და საწარმოთა მოწინავე გამოცდილება, რომლებმაც მუშაობის საუკეთესო შედეგები მოიპოვეს, გაზარდეს შრომის ნაყოფიერება, დაზოგეს სათბობი და მატერიალური რესურსები.

1986-1990 წლებში და 2000 წლამდე პერიოდისათვის საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის განვითარების ძირითადი მიმართულებაა საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტის განვითარება. წინა პლანზე გადმოიწია საავტომობილო ტვირთზიდვის ხარისხის გაუმჯობესების ამოცანამ ისე, რომ მთლიანად დავაკმაყოფილოთ ამ სახეობის მომსახურებაზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილება.

სატრანსპორტო მომსახურების მაღალ ხარისხს განსაზღვრავს ცენტრალიზებული ტვირთზიდვის განვითარების დონე, რომელიც სატრანსპორტო ხარჯების შემცირებისა და სათბობის დაზოგვის საშუალებას იძლევა. მეთორმეტე ხუთწლედის წლებში ცენტრალიზებული ტვირთზიდვის მოცულობა 21 პროცენტით გაიზრდება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სატრანსპორტო საშუალებების, უწინარესად სატვირთო ავტომობილების ექსპლოატაციის ეფექტიანობის შემდგომ გაზრდას მისაბმელებისა და ნახევარმისაბმელების ფართოდ გამოყენების ხარჯზე.

გამიზნული მუშაობა წარმოებს საკონტეინერო ტვირთზიდვის ყველმხრივი განვითარებისათვისაც. მომდინარე ხუთწლედში მისი მოცულობა 250 ათას ტონამდე უნდა გაიზარდოს. წლის მიწურულამდე ვვარაუდობთ დავამთავროთ შიდარესპუბლიკური საკონტეინერო ტვირთზიდვისაგან რკინიგზის ტრანსპორტის სრული განთავისუფლებისათვის გათვალისწინებული მუშაობა.

მეთორმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია კიდევ უფრო სრულყოფილ სისტემის ავტოპარკის სტრუქტურა. კერძოდ ავტოსაწარმოები უნდა შეიცავსონ დიდტერრიტორიული მოძრავი შემადგენლობით, რომელიც დიზელის სათბობზე იმუშავებს. ნავარაუდევი გვაქვს მომდინარე ხუთწლედში ტვირთზიდვის 60 პროცენტზე მეტი ისეთი ავტომობილებით განვახორციელოთ, რომლებსაც დიზელის ძრავები აქვთ. მნიშვნელოვნად გაიზრდება იმ ავტომობილების რიცხვიც, რომლებიც სათბობად შეკუმშულ ბუნებრივ გაზს იყენებენ.

რესპუბლიკის მოსახლეობის სამგზავრო ავტოტრანსპორტით მომსახურების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დასახულია მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი. მაგალითად, გაგრძელდება სამგზავრო ავტოტრანსპორტის სპეციალიზაციის გაღრმავების სამუშაოები. ხუთწლედის დამლევისათვის ნავარაუდევია მსუბუქი ტაქსების დაახლოებით 70 პროცენტს და ავტობუსების 62 პროცენტს თავი მოვუყაროთ სპეციალიზებულ ავტოპარკებში. სამგზავრო ავტოსაწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, მძლავრი შემადგენლობის გამოყენების ეფექტიანობის მომატებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე გათვალისწინებული გვაქვს ავტობუსების მოძრაობის რეგულარულობა 0,960-მდე ავიყვანოთ.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოფლად რეგულარული საავტობუსო მიმოსვლის განვითარებას. ამ მიზნით მიმდინარე ხუთწლედში იმ ავტოსტრანსპორტო საწარმოებს, რომლებიც სოფლებს ემსახურებიან, 2000 ერთეული სპეციალიზებული მოძრაგი შემადგენლობა გამოეყოფათ. გარდა ამისა, გათვალისწინებულია დამატებით, იქ სადაც საამისო საგზაო პირობებია, გაიხსნას 75 ახალი შედასაყარიანი და სასოფლო მარშრუტები, რომლებზეც ყოველწლიურად 2500 რეისი შესრულდება.

დაჩქარებული ტემპით განვითარდება ქალაქებში მგზავრთა გადაყვანა, მათ შორის — რესპუბლიკის დედაქალაქშიც.

დარგში დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების პროგრესული ფორმებისა და შეთოდების შემდგომ დანერგვას. გათვალისწინებულია მეთორმეტე ხუთწლედის დამლევისათვის სისტემაში ბრიგადების საერთო რიცხვი გაიზარდოს 2960-მდე, ბრიგადული იჯარის მეთოდით 1840 ბრიგადაში 30 ათასზე მეტი კაცი იმუშავებს, ხოლო ის ბრიგადის რიცხვი, რომლებიც სამეურნეო ანგარიშის პრინციპით მუშაობენ, 470 (8 ათასი კაცი) მიაღწევს. სწორედ ამ კოლექტივებმა უნდა მისცენ ტონი საწარმოო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას. ხოლო მათი რეალიზაციის საფუძველი იქნება ის წარმატებული შედეგები, რომლებიც მეთერთმეტე ხუთწლედში მოვიპოვეთ. მაგრამ, როგორც ივნისის პლენუმზე აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა, ჩვენ საქმიანობის ისეთ ეტაპზე გადავედით, როცა მოვალენი ვართ ვუჩვენოთ, შეგვწევს თუ არა უნარი გარდავიქმნათ და ვაშენოთ, ვეძებოთ ახალი ფორმები და მეთოდები, არავითარ შემთხვევაში არ დავჯერდეთ მიღწეულს.

1986 წლის პირველი იანვრიდან საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობაზე გადავიდა, ახალი გზა ყოველთვის ძნელია, უნდა მოვზომოთ ყოველი ნაბიჯი, თავიდან ავიცილოთ ამ გზაზე მოძველებული წარმოდგენებისა და მეურნეობრიობის მეთოდების ინერცია. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მაქსიმალურად შევამციროთ სახალხო მეურნეობის ხარჯები საავტომობილო ტრანსპორტზე.

სადორეკტივო მითითებებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, ჩვენ გარკვეულ მუშაობას ვეწევით იმისათვის, რომ საავტომობილო ტრანსპორტის სისტემაში მოეყაროს თავი საუზეყუბო სატვირთო ავტომობილებს. უქმდება წვრილი არარენტაბელური ავტომეურნეობანი და მათი მოძრავი შემადგენლობა საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტის საწარმოებს გადაეცემა. დღეისათვის კონცენტრაცია უკვე განხორციელდა ხაშურის, ზესტაფონის, თელავისა და ქობულეთის რაიონებში და ქალაქ გაგრაში. საერთო სარგებლობის ტრანსპორტის სისტემაში გადაცემული მოძრავი შემადგენლობის ექსპლოატაციამ საგრძნობი შედეგი მოგვცა. გაიზარდა ისეთი ტექნიკურ-საექსპლოატაციო მაჩვენებლები, როგორიცაა ჯარბენის გამოყენების კოეფიციენტი, საშუალო-სადღეღამისო ჯარბენი და მუშაობის საშუალო-სადღეღამისო ხანგრძლივობა, ტვირთამწეობის გამოყენების კოეფიციენტი და, რაც უმთავრესია, მნიშვნელოვნად იმატა ავტომობილების მწარმოებლობამ.

ამჟამად საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტთან და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოსთან ერთად ამთავრებს მოსამზადებელ მუშაობას იმისათვის, რომ სისტემის საწარმოებს გადაეცეს ავტონომიური რესპუბლიკის საუწყებო მოძრავი შემადგენლობა.

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ შეიმუშავა და ახორციელებს კონკრეტულ ღონისძიებებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად. დასახული პროგრამის რეალიზაციის პროცესში ვმუშაობთ ავტოსატრანსპორტო საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, მათი რეკონსტრუქციისათვის, წარმოებაში ტექნიკისა და ტექნოლოგიის თანამედროვე მიღწევების დანერგვისათვის, დიდეფექტიანი მოწყობილობით საწარმოთა აღჭურვისათვის. მარტო 1986 წელს ახალი ობიექტების მშენებლობისათვის ამ მოქმედ ავტოსატრანსპორტო საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისათვის, აგრეთვე საწარმენ ნაგებობათა მშენებლობისათვის 6,2 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი გამოიყო. კიდევ 5,2 მილიონი მანეთი მოხმარდება თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობის შეძენას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის საკითხს. მაგალითად, გათვალისწინებულია 1986 წელს დაინერგოს 3684 რაციონალიზატორული წინადადება და 36 გამოგონება, რომელთა ეკონომიკური ეფექტი წინასწარი გაანგარიშებით 950 ათას მანეთს მიაღწევს.

თანაც, ეს ღონისძიებანი ხორციელდება როგორც ცენტრალიზებული წესით, დამტკიცებული პერსპექტიული გეგმების შესაბამისად, ისე თვით კოლექტივების ინიციატივითაც, რომელთა ნოვატორობის ტექნიკური შემოქმედება საშუალებას გვაძლევს საკუთარი ძალებით გადავწყვეტოთ უმნიშვნელოვანესი საწარმოო ამოცანები.

სისტემის საწარმოებისა და გაერთიანებების კოლექტივების წარმატებული საქმიანობა უშუალოდ არის დაკავშირებული ჩვენი მოწინავეების დამკვრელურ გარჯასთან. შრომისადმი კეთილსინდისიერი და შემოქმედებითი დამოკიდებულების ნიმუშს გვიჩვენებენ საუკეთესო მძღოლები და შეკეთებლები — ჟ. მეცხვარიშვილი, ი. შველიძე, კ. ხვედელიძე, ფ. მამედოვი, ფ. კალანდაძე, ვ. ვოლოშინი, ა. კოჩიევი, გ. ბერბერაშვილი, ვ. გოგიშვილი, ლ. ქადაგიძე, ვ. იოსიფიდი. პ. ბაღდასარიანი, რ. ხითარიშვილი, პ. სტროკოვი და მრავალი სხვანი.

შრომაში მოპოვებული კარგი შედეგებით აღნიშნავენ თავიანთ პროფესიულ დღესასწაულს საქართველოს ავტომობილისტები. წლის განვლილი თვეების მანძილზე მათ უზრუნველყვეს შრომის ნაყოფიერების ზრდის დაგეგმილი ტემპი და მნიშვნელოვნად დაზოგეს მატერიალური რესურსები. ჩინებული მიღწევებით ემზადებიან ისინი იმისათვისაც, რომ საზეიმოდ შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69 წლისთავს.

თ. დავითაშვილი,
საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი.



ოც წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც პირველად მოუჯდა ავტომანქანის სადავეს ოური შველიძე. მაშინ, რა თქმა უნდა, აკლდა პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება სრულიად ახალგაზრდა კაცს, სანაგვიროდ მოწადინება და მონდომილი საქმისადმი ... ...

საკონცერტო საქმიანობის სადღეისო ამოცანები

ამ დღეებში სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს „ქვეყანაში საკონცერტო საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისა და საკონცერტო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების მიმდინარეობა (იხ. გაზ. „კომუნისტი“, 28 ოქტომბერი, 1986 წ.).

ქვემოთ ვბეჭდავთ თათბირზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. ნ. იაკოვლევის გამოსვლას, რომელიც გაზეთ „სოვეტსკაია კულტურის“ 28 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა.

თათბირზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი.

ბანა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, დიდი აღმშენებლობითი გადაწყვეტილებების, მოლოდინისა და იმედების ბანაა, თქვა მან. მაგრამ იმათვის, რომ ეს გარდაქმნები მოხდეს, მრავალი თვალსაზრისით აუცილებლად მუშაობა უნდა ვისწავლოთ, უნდა ვეძებოთ ახალი მიდგომები და ახალი გასაღები დაგროვებული პრობლემების გადასაჭრელად — არა მარტო ეკონომიკაში, პოლიტიკაში, არამედ აგრეთვე საზოგადოების ცხოვრების სულიერი, ზნეობრივ სფეროში, ფიზიკურ ადამიანისადმი დამოკიდებულებაში.

ამ სოციალურ-ეკონომიკური დაჩქარების ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა და პარტიის XXVII ყრილობამ დაგვისახეს, ვერაფერს გავხდებით, თუ არ დავაჩქარეთ საზოგადოების სულიერი, ზომა ზნეობრივი განვითარება. აქ ფასდაუდებელია ხელოვნების როლი. ამაში ძალზე ბევრი რამ შედის. და უწინარეს ყოვლისა, — ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდების სულში ამაღლებული სოციალური იდეალებისა და მოქალაქეობრივი რწმენის ჩანერგვა, რაც დაკავშირებულია იდეურობის ადამიანურ თვისებასთან. საჭიროა პატრიოტიზმის, სამშობლოს სიყვარულის ჩანერგვა, ამ გრძნობებიდან კი ადმოცენდება ცხოვრებისადმი, აგრეთვე საქმისადმი მოქალაქეობრივი, ბატონ-პატრონული საბელწიფოებრივი დამოკიდებულება.

საჭიროა საბჭოთა ინტერნაციონალიზმის, ამ სულიერი დუღაბის ჩანერგვა, რომელიც ერთ მთლიანად აერთიანებს ჩვენ მრავალეროვან ქვეყანას და საბჭოთა ხალხს საკობრიობის საერთო ბედს აზიარებს. საჭიროა, გადაუდებელია მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია, რაც მოითხოვს ზრდილობას, პატიოსნებას, ამაღლებულ რწმენას და პასუხისმგებლობას.

ამის გაკეთება იოლი არ არის. და იმის გამო, რომ ჯერჯერობით ბევრი გვაწევს აზროვნებისა და საქმეების მრავალი წლის სტერეოტიპები, რომლებსაც ადამიანები შეეგუენენ, რომლებსაც შეეჩვევნენ, რომლებიც ზნრიად ხელ-ფეხს გვიბორკავენ, ხელს გვიშლის ვეძებოთ ახალი, ყველაზე გონივრული და ნაყოფიერი გზები. აი რატომ ზრდება ცხოვრების ყველა სფეროში ახალი აზრის, ინიციატივიანი მოქმედების, ტალანტის, განათლების, საკუთარი სიქმის კარგად კეთების უნარის, ენერგიისა და პროფესიონალიზმის ფასი.

დღეს ყველა ჩვენს საქმეში — დიდსა თუ პატარა, ყოველდღიურ თუ ისტორიულ, მატერიალურ თუ სულიერ საქმეებში, ჩვენ უფლება რომ გვაქვს თუნდაც ერთი წამით გავუშვათ მხედველობის არიდან ამ მსოფლიოს სურათი, რომელიც ვცხოვრობთ, მეზიდრო, რთული, დინამიკური, მაგრამ ურთიერთდაპირისპირებული მსოფლიოს სურათი.

თანამედროვე მსოფლიო სულ უფრო მეტიერო, კომუნიკაციურად სულ უფრო ურთიერთდაკავშირული ხდება. ამის იმედით ყოფნა, რომ ამ მსოფლიოში შეიძლება ეიმქნა გარე ზემოქმედებისაგან ზოლირებული რაღაც ნიში, საკვე, და იქ შეაფარო თავი შეშინებულმა, — ეს უბრალოდ ილუზიების ტყვეობა კი არ არის, არამედ გარდაუვალი მარცხის საფრანდარია.

საჭიროა საკუთარი აქტიური, ინიციატივითი პოზიცია. ისეთი, რომელიც უზრუნველგვყოფდა საკუთარ სახლში არა მარტო უთუოდ ინფორმაციულ, არამედ გარემო ამყარორე ჩვენი მუსიკალური ზემოქმედების განუხრელი გაძლიერებისთვის.

ხელოვნებამ, ინფორმაციამ საფრვრები არ იცის. მაგრამ ასევეა ინტიხელოვნებაც და დეზინფორმაციაც. ამასთან დაკავშირებით ინფორმაციაზე ეს ტერმინი ფურადღება მიიპყრო ისეთ ფენომენს, როგორიცაა „მასობრივი კულტურა“, რომელმაც XX საუკუნის მეორე ნახევარში ხელთ აიღო მთავარი პოზიციები კაპიტალისტური საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში. ეს არის იდეური-ფსიქოლოგიური აგრესია, რომლის ბანაცა თავს მოგვახვიოს ყალბი, ფეტიშურებით გაყიდნეული ღირებულებანი, მისი მიზანია გაალვიოს, ანომბარებლური ინსტინქტები, გაიოწვიოს მასების დეჰუმანიზაცია და დემორალიზაცია, დაამკვიდროს ღირებულებათა გაუკუღმართული სისტემა, ჩამოაყალიბოს კაპიტალიზმისათვის მხსნელი, ყოველდღიური მასობრივი ზეგნების ფრანტიული, სულგამოცლილი „მასკულტურა“ აქტიურად და ფაფუტად ყიენებს ადამიანთა ბუნებრივ მისწრაფებას გართობისადმი, დასვენებისადმი, მაგრამ ამ ფროს ორიენტაციას იღებს მომმარებლურ საწყისებზე, ადამიანების გრძნობებისა და აზროვნების ტანდარტიზაციაზე, ცხოვრებისა და სამყაროსადმი მეშჩანურ დამოკიდებულებაზე, მოქალაქეობრიობის უარყოფასა და გულგრილობაზე.

სამწუხაროდ, მან ჩვენშიც გამოცდა თავისი, მართალია, ჯერ სუსტი, მაგრამ მაინც ყლორტები სიფრაში, ლიტერატურაში, თეატრში, კინოში, უწინარესად ბრძოლაძეის ფორმით. ეს ვლინდება ჩვენი ტრადიციებისათვის ისეთი ეცხო მოვლენებით, როგორიცაა „მასკულტურის“ ნაწარმოებთა დონისადმი მომხმარებლობის დაკვეთი-ვაკეთოთ, საერთო მნიშვნელამდე დავიყვანოთ, ისეთად ვაქციოთ, როგორიც ყველანი არიან? რამდენჯერ მოხვედრიათ წინათ ეგრეთწოდებულ უხმო საესტრადო მომღერლებს? მათი სიმღერები კი ეცოცხლობენ. და ნებისმიერ ამ „უხმოს“ მაშინვე ცნობენ იმიტომ, რომ მათს შესრულებაში სული და ამაღლებული აზრი იგრძნობა. დღეს როგორია? ყოველად უსახო შემსრულებელს ახლა შეუძლია კონცერტიდან კონცერტზე ირბინოს, მას პროფესიონალად აღიარებენ. იგი ყველას აძლევს ხელს, მსმენელის გარდა. მაგრამ საკმარისია რომელიმე მათგანი სხვებისგან განსხვავდებოდეს, რომ მაშინვე ჯვარედინ ეცეცხლს დაუშენენ. თითქოს გვინდა ყველა ერთ ჩოხაში გამოვაწყოთ, ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, ყოველი მათგანი გარდაქმნით.

სხვათა შორის, როგორ ჩნდებიან კერპები, „წმინდა მოწამენი?“ ძალიან იოლად. მსახიობი ეს-ეს არის იწყებს ხელოვნებაში თავის გზას, უკან კი შლეფად მისდევს გაფრთხილებანი: ვერც ამასაო, ვერც იმასაო ისე არ აკეთებსო. მაყურებელსა და მსმენელს კი სწორედ რაღაც ახლის ნახვა სურს, იმისა, რაც „ისე“ არ არის, რაც კარგად ცნობილს არ ჰგავს, სურს თითონ გაერკვეს, მოისმინოს და გაიგოს. მაგრამ მას ხშირად ამის საშუალება არა აქვს. მსახიობი უკვე შებორკილია ყოველი შემთხვევისათვის და აკრძალვის ხელოვნური შარავანდედი დიდხანს ადგას თავს.

ასეთი ვითარებაა არა მარტო ესტრადაზე, არამედ სერიოზული მუსიკის ჟანრშიც. არიან ისეთ თხზულებათა ავტორები, რომლებსაც წლობით არ ასრულებენ კონცერტებზე, და მაინც აკრძალვის შარავანდედი აძლიერებს ინტერესს მათი შემოქმედებისადმი. ეს ხელოვნების განვითარებისათვის არანორმალურია.

გამოსვლაში ყურადღება მიექცა ყმაწვილების მუსიკალური აღზრდის პრობლემებს, ამასთან დაკავშირებით აღინიშნა სამამულო და მსოფლიო მემკვიდრეობის, ხალხური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების, საბჭოთა მუსიკის შესანიშნავი ნაწარმოებების პროპაგანდის როლი და მნიშვნელობა, ამასთან გამოუკლებლივ ყველა ჟანრში. ითქვა, რომ ხელოვნებაში „აკრძალვები“ პოზიტიურ შედეგებს ვერ მოგვიტანს. და ის, რაც ნამდვილად ცუდია, განსაკუთრებით მუსიკალური ესტრადის ჟანრში, მხოლოდ მაშინ კვდება ბუნებრივი სიკვდილით, როცა მას ნამდვილი მხატვრული ნაწარმოები გამოვევნის, თუმცა ეს ამდენადვე ეხება სერიოზულ მუსიკასაც.

სწორი არ არის, თითქოს ახალგაზრდობას არ ესმოდეს სერიოზული მუსიკა. უბრალოდ არ ასწავლიან მის გაგებას. ჩვენ კი დღეს, იმის ნაცვლად, რომ ახალგაზრდობასთან მუშაობის ფორმებს ვეძებდეთ, ვტუქსავთ: ვაი-ვაი, როგორ არა გცხვენოთ, რომ არ გიყვართ სერიოზული კლასიკური მუსიკა და ფილარმონიების დარბაზებში არ დადიხართ, ანის მაგივრად კი დისკოთეკა და ცეკვები გიყვართო. მაგრამ კონკრეტულად რა კეთდება იმისათვის, რომ გამოვასწოროთ გემოვნების გაუკუღმართება? ყმაწვილებისათვის გათვალისწინებული ფილარმონიული საღამოები, ტელევიზიითა და რადიოთი სპეციალური გადაცემები — დიახ, ყოველივე ეს არის, ისევე, როგორც წინათაც ყოფილა. მაგრამ ვინ იცის, იქნებ სწორედ იმიტომ გავუშვით ხელიდან დრო, რომ მუსიკალური პროპაგანდის ახალი ფორმა ვერ გამოგვგონია, მასში ახალი და არატრადიციული ხერხები ვერ შეგვეტანია. აი, ვთქვათ, რა იქნებოდა, რომ ეკრანიდან ხელოვნებათმცოდნის ნაცვლად, რომელიც მუსიკისადმი საკუთარი კეთილშობილური სიყვარულით ტკბება და ქვეყნად არაფერი ესმის, საკუთარი თავის გარდა, კლასიკაზე ელაპარაკათ ესტრადის კერპებს, ხოლო მსუბუქი მუსიკის ადგილსა და მნიშვნელობაზე — კლასიკური ფორმების კომპოზიტორებს. იქნებ სჯობდეს, კამათის, დისკუსიის ვითარებაში იმსჯელონ მუსიკის შესახებ სიმფონიურმა დირიჟორმა ან პოპულარული ვოკალურ-ინსტრუმენტიელი ანსამბლის ხელმძღვანელმა. ვაი, რომ ჩვენში თითქმის არ არსებობს ამგვარი მიდგომა გემოვნების აღზრდისადმი.

ხალხის ხსოვნაში სამუდამოდ დამკვიდრდა დიდი სამამულო ომის გმირულად ძნელი, ტრაგიკული ფურცლები. რა იყო ჩვენთვის ეს ომი, ძალების, ნებისყოფის რა დაძაბულობა, ყოველდღიური გმირობა მოითხოვა, ამაზე ლაპარაკი საჭირო არ არის. ჭკითხეთ ნებისმიერ ვეტერანს: 'მოვიგებდით თუ არა ჩვენ ამ ომს, რომელსაც ტყუილად როდი ეწოდა' დიდი, ის მუსიკა, ის სიმღერები რომ არა, რომლებიც მაშინ ეღერდა? და ბევრნი ნამდვილად გიპასუხებენ: „ვინ იცის?“, ან სრულიად კატეგორიულად — „ვერა“. ამ ემოციურ შეფასებებში, რაღა თქმა უნდა, არის სავსებით გასაგები და შესანდობი გაზვიადებაც, მაგრამ იგი ხალხის მიერ ხელოვნების უმაღლესი შეფასებაც გახლავთ, შეფასება, რომელიც დაიმსახურა და ჩვენთვის ზნეობრივი ეტალონი გახდა. ომის სიმღერების მიმართ ეს საკითხი არც კი წამოჭრილა: ხომ არ ჩაახშობს მათ თავისი მუსიკალური პროდუქციით იდეოლოგიური მოწინააღმდეგე? არ წამოჭრილა იმიტომ, რომ ეს სიმღერები ნამდვილად აკმაყოფილებდა ადამიანთა ღრმა სულიერ მოთხოვნილებებს, მათ თითოეული საკუთარ სიმღერად აღიქვამდა. ან რატომ არის, რომ ამ სიმღერებს დღემდე მღერიან, და არა მარტო ჩვენში.

დავასახელებ ორ ციფრს, რომლებიც ასახავენ საკონცერტო საქმიანობას მარტო ერთი წლის მანძილზე. 500 ათასი კონცერტი, რომლებსაც 140 მილიონი კაცი დაესწრო. შთამბეჭდავია. გამოდის, რომ ყოველი მეორე მცხოვრები, ჩვენ ახლა 280 მილიონი ვართ, წელიწადში ერთხელ ყოფილა კონცერტზე. გვიყვარს ასე ლაპარაკი: ყოველი მეორე, ყოველი მესამე, ყოველი მეოთხე. მოდით, სხვა მხრიდან შეეხებოდოთ და უეცრად აღმოჩნდება, რომ საშუალო-სტატისტიკურად ჩვენში კონცერტს ესწრება 280 კაცი. და მაშინ, თუ ამას ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას შევადარებთ, სულ სხვა არითმეტიკა გამოგვივა. არა ყოველი მეორე, არამედ მილიონიდან ერთი დასწრებია, ხოლო 999 ათას 999 კაცი საკონცერტო დარბაზში არ მისულა. წელიწადში 140 მილიონი მსმენელი — ეს ნიშნავს, რომ საბჭოთა მსმენელი კონცერტზე თითქმის ორი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ყოფილა. აი, ესეც კონკრეტული, რეალური, ადამიანური ფაქტორი. აი, ესეც საანგარიშგებო ეკვილიბრისტიკა ციფრებით, კონკრეტული ილუსტრაცია სკკპ XXVII ყრილობისადმი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების იმ სტრიქონისათვის, სადაც აღძრული იყო კითხვა: „ციფრებისა და მოცვის ამგვარ ორომტრიალში ხომ არ გვეკარგება ცოცხალი ადამიანი?“

ხშირია ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ ყველაფერი რიგზე ვერ არის საესტრადო, მასობრივი სიმღერების საქმეში. მართლაც, აქ ძალზე მოძალებულია მუსიკალური და პოეტური ტექსტის უხამსობა და უსუსურობა, ნაჩქარევი ნახელავი, უღიმღამო ეპიგონობა. ყოველივე ეს შვა ვაკუუმმა, რომელსაც მაღალპროფესიული ნაწარმოებების დეფიციტი, ის დეფიციტი იწვევს, რომლის ბუნებაზეც უნდა იფიქრონ ჩვენმა წამყვანმა ოსტატებმაც და კომპოზიტორთა და მწერალთა კავშირებმაც.

პარტიის XXVII ყრილობაზე ლაპარაკი იყო იმის შესახებ, თუ როგორია ხელოვნებისა და საერთოდ მთელი საზოგადოების ცხოვრებაში შემოქმედებითი კავშირების როლი. მაგრამ ამასთანავე აღინიშნა, რომ მათი მუშაობის მთავარი შედეგი რეზონანსიებითა და სხდომებით კი არ განიზომება, არამედ ნიჭიერი ნაწარმოებებით, რომლებიც გაამდიდრებენ ხალხის სულიერ ცხოვრებას.

ზოგჯერ უცნაური სურათი იქმნება. ხმამაღალი დისკუსიები, ხმამაღალი გამოსვლები პრესაში და ტრიბუნებიდან, ცხოვრებაში კი წვრილთემიანობის, უხამსობის, უგულვებელობის მოძალება. მაგრამ ხელოვნის მთავარი ტრიბუნა ხომ მისი შემოქმედებაა, მოცემულ შემთხვევაში — მისი სიმღერები, მისი სიმფონიები და ორატორიები, მაშასადამე, ეს ნაწარმოებები არ ყოფილა, და როცა ერთი არ არის, მეორე ჩნდება. უამრავი ვოკალური ანსამბლი ხომ, რომელთაგან ბევრი სრულიად სამართლიანად გააკრიტიკეს შესრულების დაბალი დონისთვის, მუსიკალური ვაკუუმის იმავე ნიადაგზე იშვა, როცა პროფესიული ესტრადა ვერ ეწეოდა ცვალებად გემოვნებას. გემოვნება იცვლება, და ახალგაზრდობაც, რომლებსაც შედგება ეს ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები და რომლისთვისაც ისინი უკრავენ, ცვალებადი ხალხია, უყვარს ახალი რიტმები, მუსიკალურ მოდას მისდევს. ხელოვნებაში მოდა, რა თქმა უნდა, განმსაზღვრელი კატეგორია არ არის, მაგრამ იგი ხომ რეალურად არსებობს. მაშ, რატომ ვიღებთ ისეთ სახეს, თითქოს არ არსებულიყოს?

ჩვენ, რა თქმა უნდა, სასოწარკვეთილებაში ვვაგდებს ზოგიერთი ახალგაზრდული სიმღერის ტიპები. მაგრამ ეს, ალბათ, უფრო თვითმოქმედი პოეტების ბრალია, ვიდრე შესრულებლებისა. შეიძლება არცთუ ოსტატურად, მაგრამ მათ სცადეს ჩაფიქრებოდნენ იმ პრობლემებს, რომლებიც რეალურ ცხოვრებაში დგას. თანაც უფრო ადრე, ვიდრე ბევრი პროფესიონალი პოეტი და კომპოზიტორი. ესეც ცხოვრებაა, მისი რეალობა. ეს ახალგაზრდობის თავისებური პროტესტია ბევრი იმ სიმღერის პომპეზურობის, უფერულობის წინააღმდეგ, რომლებიც ახალგაზრდობისათვის იქმნება. აქ ბევრი რაღ არის ისეთი, რასაც ერთად უნდა ჩავუფიქრდეთ, რათა ახალგაზრდების და ახალგაზრდობისათვის შემოქმედება შეეესატყვისებოდეს ჩვენს დროსა და მის ამოცანებს. ჩვენ ახალგაზრდობას უნდა განვუმტკიცოთ ჩვენი იდეალების რწმენა, ვენდოთ, დავეხმაროთ ზრდაში. მისი ხელოვნება და მისთვის ხელოვნება გამსჭვალული უნდა იყოს სიმართლით, რათა უზენაესი ცნებები, რომლებიც ჩვენს ზნეობრივ ღირებულებებს აღნიშნავენ, მოთხოვნილებად იქცეს, რათა სწორედ ისინი ფრთას ასხამდნენ და წინ მიჰყავდეთ ახალგაზრდობა.

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ ახალგაზრდობაზე, იმაზე, რომ საჭიროა დავუხვეწოთ გემოვნება. ეს ითქვა კომპოზიტორთა ბოლო ყრილობაზეც. გვთავაზობენ ნაირ-ნაირ ორგანიზაციულ ღონისძიებებს: არაღწყვრეზე საქმიანობას, შეთანხმებულ ძალისხმევას. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, საჭიროა. მაგრამ მოდით, მოვისმინოთ გასული ყრილობის სტენოგრამ მიკის თეორიაციის აზრიც. აი, რა თქვა მან: „ხომ არ აჯობებდა დაგვესვა კითხვა, რატომ არის, რომ ახალგაზრდობას ყოველთვის არ ესმის ჩვენი? იქნებ ჯეროვნად ვერ ვიფასებთ ახალგაზრდობის მოთხოვნილებას გამოხატოს თავისი სული თავისებურად, რაღაც ახლებურად, თქვას ის, რაც „აწუხებს“. და შემდეგ: „თუ ჩვენ უშუალო ქმედითი კავშირი გვაქვს ხალხთან და ახალგაზრდობასთან, მაშინ აუცილებლად ვპოულობთ ხოლმე ურთიერთობის სწორ გზას, სწორ თანამედროვე ესთეტიკურ გამომსახველობას, სხვაგვარად დასავლური კომერციული ხელოვნების ტყვეობაში ამოვჩნდებით“. ერთი სიტყვით, მუსიკალურ უხამსობას აკრძალვებით კი არ უნდა ვებრძოლოთ, არამედ მუსიკით, რომელიც მოვალეა გამოდევნოს ყოველგვარი სუროგატები, მისი მიმსგავსების ყოველგვარი ცდები და ნაცოდვილარი. განა ლოგიკური არ იქნება, უსულგულობას დავუპირისპიროთ ამაღლებული სული, ხოლო სიკარიელეს — ალსავსე შინაარსი? დიახაც, ლოგიკურია.

მაგრამ ლიტონი სიტყვებითა და მოწოდებებით საქმეს ვერას აგებენ, და კვლავ წინა პლანზე გამოდის თვით მუსიკალური შემოქმედება. მაშასადამე, ყველა იმ ორგანიზაციისა და უწყების ძალისხმევა, რომლებზეც დამოკიდებულია მუსიკის შეტანა მასებში, იმას უნდა მოხმარდეს, რომ შეიქმნას შემოქმედების ისეთი ატმოსფერო და მისი ისეთი სტიმულები, რომლებიც ხელს შეუწყობს ისეთი თხზულებების შექმნას, ადამიანებს რომ გაიტაცებს და ხელოვნების ჭეშმარიტი მონაპოვარი გახდება.

ჩვენ ვისწავლეთ სხვადასხვაგვარი ფესტივალებისა და კონკურსების, მოსმენების ისეთი მეტისმეტი ორგანიზება, რომ ყველაფერი წინასწარ არის ხოლმე გადაწყვეტილი. ჟიურის, ჩვეულებრივ, იმგვარად შეარჩევენ, რომ იოლად შეთანხმდეს, თანაც არა მოსმენისა და განხილვის პროცესში, არამედ წინასწარ. ყველაფერი რაღაცნაირად დაბიუროკრატებულია. ძირს ხომ არ უთხრის ეს თვით კონკურსის, ტალანტებისა და იდეების შეჯიბრების არსს? რისი და ვისი გვეშინია? ნუთუ ამდენად უმწეოა ჩვენი ჭეშმარიტი მუსიკალური ღირებულებების ავტორი, რომ იძულებული ვართ ადმინისტრაციული საშუალებები დავიცვათ? ამას გვაიძულებს მარტოოდენ საკუთარი ძალების უარწმუნოება ან ისეთი ატმოსფერო, როცა არ არის საჭიროობა, შეხვედრებითი საქმეების ღია განხილვა, როცა ერთთა სუბიექტურ გემოვნებას თავს აბავებენ სხვებს. არ გვეკადრება ყოველივე ეს ჩვენ.

მუსიკა თან ახლავს ადამიანს ყველგან, ყოველდღიურ ცხოვრებაში, დასვენების დროს, სამუშაო ადგილზეც კი. მას უსმენენ სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა კულტურული დონის, სხვადასხვა გემოვნების, ენისა თუ ტრადიციების ადამიანები. თუნდაც ამიტომ იგი არ შეიძლება ერთნაირი იყოს არც ჟანრობრივი, არც სხვა ნიშნების მიხედვით. გარდა ერთისა — ხარისხისა, რომელიც, როგორც ცნობილია, დამოკიდებული არა ჟანრზე, არაწერ ნიშსა და პროფესიონალიზმზე, იმაზე, თუ რამდენად ესმის მას თავისი მხატვრული და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა. არ არსებობს „მაღალი“ და „დაბალი“ ჟანრები, რამეთუ არ არსებობს ცუდი და კარგი ჟანრები, არსებობს მხოლოდ კარგი და ცუდი მუსიკა.

შემდეგ, გააანალიზა რა თანამედროვე საკონცერტო საქმის მდგომარეობა, ორატორმა აღნიშნა, რომ მის „მარგი ქმედების კოეფიციენტს“ არსებითად აქვეითებს შეუთანხმებლობანი, რომლებიც არსებობს „კომპოზიტორი — შემსრულებელი — მსმენელის“ ურთიერთმოქმედებაში. მიზეზები აქ სხვადასხვაგვარია. უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ავტორის შემოქმედება მოწყვეტილია დროის მოთხოვნებს, მასობრივი აუდიტორიის მოთხოვნილებას, ზოგჯერ კი ელიტარობაც ვლინდება. ანგარიშგებას რომ ჩავხედოთ, აღმოჩნდება, რომ უამრავი სიმფონია, ორატორია, ოპერა, ოპერეტა, სხვა ჟანრების ნაწარმოებები შექმნილა. თანაც, არა მარტო შექმნილა, არამედ კულტურის სამინისტროს შეუსყიდია კიდეც შესასრულებლად. და რაკი შეუსყიდია, მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, ყოველივე ეს კარგი ხარისხისა ყოფილა. მაგრამ ეს უამრავი შესყიდული ნაწარმოები არასოდეს არ შესრულებულა. მაშ, ვისთვის იწერება ყოველივე ეს? შემსყიდველი კომისიისათვის? კარგად რომ გავერკვეთ საქმეში, წარმოგვიდგება წამებების ტიპური ნიმუში, რომელსაც საფუძვლად უდევს იგივე რაოდენობის პრინციპი. ამას კი მოსდევს არა მარტო მატერიალური, არამედ აგრეთვე მორალური ზარალიც და, პირდაპირ ვთქვათ, პოლიტიკური ხასიათის ზარალიც.

ანდა ავიღოთ საკონცერტო საქმიანობის გეოგრაფია. აქაც ციფრების სიუხვის მიუხედავად, აშკარაა, რომ ანგარიშგების უდიდესი წილი დიდ ცენტრებზე მოდის. საკავშირო, რესპუბლიკური და საოლქო მასშტაბებით თითქმისდა ქვეყნის მთელ ტერიტორიას მოვიცავთ. აი, მაშინ კი, როცა საქმე კონკრეტულ ქალაქებსა და სოფლებზე მიდგება, თურმე საკონცერტო ცხოვრება იქ სულს ღაფავს, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩრდილოეთის, ციმბირისა თუ შორეული აღმოსავლეთის მოსახლეობის, მშენებლებისა და მრეწველების ერმსახურებაზე. აქ, მართლაც, ბევრი პრობლემაა, მაგრამ ადვილ უფრო მეტი — ინერტულობა და მოუქნელობა; როგორც ჩანს, არ შეუწევთ უნარი საქმე ისე დააყენონ, რომ საკონცერტო საქმიანობის სისტემა მოქნილი იყოს და ადამიანების ინტერესებს ითვალისწინებდეს. ეს, სხვათა შორის, სოციალური სამართლიანობის საკითხიც არის.

არ შეიძლება არ შეეხოთ პრობლემის ისეთ ეხარესაც, როგორიც არის მრავალი კონცერტის პროფესიული, საშემსრულებლო დონე. ჩვენ ვამაყობთ შესანიშნავი მხატვრული კოლექტივებით და სოლისტებით, მაგრამ არცთუ ბევრი კონცერტი ეწყობა ასეთ დონეზე, განსაკუთრებით ეხება ეს მსახიობთა ჯგუფებს, რომლებიც სოფლად ბავშვების წინაშე გამოდიან.

საკონცერტო საქმიანობის შესახებ დადგენილების გამოსვლის დღიდან ნახევარ წელზე მეტი გავიდა. ძვრები კი ჯერჯერობით ცოტაა. არ კმარა კონცერტები, რომლებიც კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების ქოვლესად გადაიქცეოდა. კულტურის ორგანოები და საკონცერტო ორგანიზაციები თითქმის არ იჩენენ საინტერესო პროგრამებს, მაყურებელთან მუშაობის ახალი ფორმების შექმნის ინიციატივას.

საკონცერტო საქმიანობის ორგანიზაციის დარგში ბევრი უბედურების მიზეზი ის არის, რომ მისი ფორმები გაიყინა და ათწლეულების მანძილზე არ იცვლება. ფილარმონიები ყოველგვარი ნებადართული თუ აკრძალული ხერხებით ცდილობენ რამენაირად შეასრულონ გეგმა, ჩვენ კი თითქოს თვალს ვარიდებთ იმას, რომ საფინანსო დარღვევებისა და ბოროტმოქმედების შესაძლებლობას შეიცავს დაგეგმვის, საკონცერტო ორგანიზაციების დაფინანსების, ანგარიშგების, მსახიობთა შრომის ანაზღაურების თვით სისტემა. ამიტომ მთავარი ამოცანა, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გადაწყდეს, ის არის, რომ შევიმუშაოთ საგასტროლო-საკონცერტო საქმიანობის მართვის, დაგეგმვისა და დაფინანსების სისტემის დასაბუთებული სტრუქტურა. დღემდე არ შემუშავებულა ფილარმონიების საქმიანობის თვისებრივი კრიტერიუმები.

ჩვენ გამოჩენილ ოსტატებს მოვუწოდებთ მასებში შეიტანონ ხელოვნება, თუმცა მათ უამისოდაც ვერ ჩარმოუდგენიათ თავიანთი მოღვაწეობა უფროთოეს აუდიტორიასთან შეხვედრის გარეშე. მაგრამ ზოგჯერ ადგილებზე შემასრულებლებს ელემენტარულ შემოქმედებითს და საყოფაცხოვრებო პირობებს არ უქმნიან. რატომ არის, რომ მსახიობს სანამ ხალხის წინაშე გამოვიდოდეს, უამრავი უსიამოვნების განცდა უწევს, რატომ გაჭირდა წესრიგის დამყარება საქმეში, რომელიც დიდ გარჯას არ მოითხოვს? საჭიროა მარტოოდენ ადამიანთა ურთიერთობის ელემენტარული კულტურა და თანამედროვე მოწყობილობები.

ამას წინათ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ქალაქებში კონცერტები ჰქონდა გამოჩენილ პიანისტს სვიატოსლავ რიხტერს. მასზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს ციმბირმაც და კონცერტებზე მოსულმა ადამიანებმაც. მან დიდად ემოციურად გვიამბო ეს საგზეთო ინტერვიუში, თუმცა ამასთანავე დასძინა, რომ არც ერთ საკონცერტო დარბაზში არ დახვედრია რიგიანად აწყობილი როიალი. განა ეს იმის დასტური არ არის, თუ როგორ ყოველბიან საქმეს ადგილობრივ ფილარმონიებში?

აშკარად დაკნინებულია სამხატვრო საბჭოებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი და პასუხისმგებლობა ახალი პროგრამების შექმნაში, სარეპერტუარო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, მსახიობთა პროფესიული ოსტატობის დახვეწაში, მათს კოლექტივებს შორის კარგი მორალური კლიმატის დამკვიდრებაში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ცნო მნიშვნელოვნად განმტკიცდეს მუსიკალური კულტურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გათვალისწინებულია უახლოესი ათი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში აშენდეს 42 საკონცერტო დარბაზი, ასობით კულტურის სახლი და ათასობით კლუბი. სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს და ადგილობრივი ორგანიზაციების წინაშე დასახულია პასუხსაგები ამოცანა: შექმნან კარგი, თანამედროვე პროექტები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება საბჭოური და უცხოური გამოცდილება, აღჭურვონ დარბაზები თანამედროვე მოწყობილობით.

საკონცერტო საქმიანობის ყველა ეს საკითხი კომპლექსურად უნდა გადაწყდეს. როცა ამის გაკეთებას შეეძლები, როცა ყველას — დამწყებს შემსრულებლიდან ვირტუოზამდე, კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორიდან სსრკ კომპარტიის ორგანოს კავშირის პირველ მდივნამდე, რაიონული კლუბიდან კულტურის საკავშირო სამინისტრომდე — ნათელი, მკაფიო წარმოდგენა შეექმნება იმაზე, რა და როგორ ვადებში უნდა გაკეთონ სწორედ მათ, როცა იქნება წინსვლის სურვილი და გამბედაობა, მიუხედავად ყოველგვარი სიძნელეებისა, აი, მაშინ გვექნება უფლება ვილაპარაკოთ ახლანდელი თათბირისა და პრესაში უამრავი დისკუსიის პოზიტიურ შედეგებზე და, რაც მთავარია, ყველა დაინტერესებული პირისა და დაწესებულების კონკრეტული მოქმედების შედეგებზე. დაინტერესებულებისა არა თანამდებობრივი მოვალეობით, არამედ სინდისის, მოქალაქეობრივი შეგნების გამო, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ საკონცერტო საქმიანობის ორგანიზაციაში ჩვენ ხშირად ვაწყდებით სულ სხვაგვარ, მახინჯ, წმინდა კომერციულ დაინტერესებას.

საჭიროა, რომ ყველა დაინტერესებულმა ორგანიზაციამ და უწყებამ ზუსტად განსაზღვროს თავისი ადგილი საკონცერტო საქმის გარდაქმნაში, ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ მაყურებლებმა და მსმენელებმა რეალურად იგრძნონ მისი შინაარსის ძვრები. დროა სიტყვიდან საქმეზე გადავდეთ, პრაქტიკულად დავამტკიცოთ, რომ გვესმის, რომ გულწრფელნი ვართ, რომ უფლება გვაქვს ვეწეოდეთ ამ კეთილშობილურ საქმიანობას.

და, მოდით, ნუ დავივიწყებთ მთავარ კრიტერიუმს, რომელიც ჩვენში რომ ვთქვათ, ნათელი და მარტივია: საბჭოთა ადამიანებმა ხვალ უკეთ, უფრო სისხლსავსედ, სულიერად უფრო მდიდრულად უნდა იცხოვრონ, ვიდრე დღეს. ეს არის დაჩქარების სოციალური აზრი. ამ საწყაოთი აიწყვება ჩვენი ხელოვნების ეფექტიანობაც და პასუხისმგებლობაც.

„სოვეტსკაია კულტურა“.
1986 წ. 28.X

ქმოზის მეხოტბე

აზერბაიჯანის სახალხო პოეტის სამედ ვურღუნის დაბადების 80 წლისთავისათვის

სამედ ვურღუნმა ჯერ კიდევ სიცოცხლეში აღიარებული და სახელგანთქმული პოეტის სახელი დაიმკვიდრა მთელ საბჭოეთში. დიახ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან თავისი ნიჭი და ენერგია, მთელი სიცოცხლე ეროვნული, აზერბაიჯანული მწერლობის აღორძინებას, განვითარებასა და აყვავებას შეალია. იგი გახლდათ ხალხის ღვიძლი შვილი, რომლის ხალასი ტალანტი საუკეთესოდ შეერწყა მისივე ერის მაცოცხლებელ იდეებს, ეროვნულ სატკივარ



ჩვენი თბილისქალაქი.

ს. თევზაძის ფოტო.



თ ბ ი ლ ი ს ი
ჩემი დღესასწაულია

მთაწმინდაზე დავალ როგორც მთვარეზე,
სულში მაწვიმს ქართლის დედის ცრემლები,
შენთვის ვცოცხლობ, ისევ შენ გიალერსებ,
შენთვის ვკვდები, ისევ შენ გეფერები.
სხვა ვინ არის, უფრო მეტად ვინ მიყვარს,
შენს ფანჯრებში ღვთის სინათლე იღვრება,
ერთ ცისთვალა მატიტელად მიიკარ
მკერდზე ჩემი სიყვარულის სიმღერა.

მისამღერი: დელია, დელია, დელია.
შენი ცის ქვეშ ქართველები მღერიან,
გული გახსენ მზის თვალივით მზიერო,
გულმა უნდა იძგეროს,
ჩანგმა უნდა იელვროს შენდა საკეთილდღეოდ,
დელია, დელია, დელია.
ჩანგმა უნდა იელვროს შენდა საბედნიეროდ,
დელია, დელი დელია.

ყრმათა ჩვენთა აკვანივით ირწევი,
გასულდგმულებს კვლავაც სული ქართული,
ო, თბილისო, დედის გულს გეფიცები,
კვლავაც შენ ხარ ჩემი დღესასწაული.
შენ ხარ ჩემი ზღაპარი და თქმულება
მზე შენს მკლავზე სანთლად უნდა დნებოდეს,
სხვა თბილისი ქვეყნად არ მეგულება,
გულამოსკვნით ნეტამც სულ გიმღეროდე.

მისამღერი: დელია, დელია, დელია... და ა. შ.

მუსიკა **რუსუდან ჩხაიძისა**,
ლექსი **მორის ფოცხიშვილისა**.



სურათებზე: სადღესასწაულო ბაზრობა „ოქროს შემოდგომა“ სპორტის სასახლის მოედანზე; გამოფენა „ჩემი თბილისი“ სპავშვო ნახატების გალერეაზე; საქართველოს სახალხო მხატვარი ე. ამაშუკელი ბარათაშვილის ქუჩაზე დადგმულ თავის ახალ ნამუშევართან — „ფიროსმანის მეეზოვე“.

ს. კილაძის ფოტო.

სპორტნირო ირბიტა

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. — გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ერთი „ქალენდარული“ მატჩი „ლაზარეთმა“ უმასპინძლა „მახტიორს“ და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0.

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის სპორტის სასახლეში მოეწყო ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის უბნების გუნდების ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩები მინი-ფეხბურთში საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის თასზე. შეხვედრები ასე დამთავრდა: ფინალური მატჩი. ვაკე-ვერა — 5:2; მესამე ადგილზე გამოვიდნენ ორთაჭალელები.

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ. მოსკოვში მიმდინარე ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დასკვნითი ეტაპის მორიგ კალენდარულ მატჩებში ასეთი შედეგები აღინიშნა: თბილისის „ქართველა“ (სპი)-ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტი—20:21, მინსკის ასკ-კიევის ასკ—34:19, ჩელიაბინსკის „პოლიტტი“-ასტრახანის „დინამო“ — 25;24, კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტი-ყაზანის „გრანიტასი“ — 20:23, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი-ლენინგრადის „ნევა“ — 33:25, ტირასპოლის სპორტული კლუბი-ცსკა — 24:24. მოსკოვის ტურის მატჩები დამთავრდება 30 ოქტომბერს.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ფრუნზეში მიმდინარე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის თერთმეტი ტურის შემდეგ ნანა იოსელიანს 11 შესაძლებლიდან 9 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, 10-10 შესაძლებლიდან ქეთევან არახამიას, ნანა გურიელს და ზოია ლელჩუკს 6,5-6,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ, სვეტლანა მატვეევას — 6 ქულა (11-დან) და ა. შ.

ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲘᲓᲐᲝᲑᲐ. ბუდაპეშტში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი. საბჭოთა მოჭიდავეთაგან ფინალში გავიდნენ ლენინაკანელი ლ. ჯუფლაკიანი (68 კგ), ბაქოელი მ. ალახვერდიევი (48 კგ) და ომსკელი ტ. კალიმულინი (57 კგ).

გუშინ ღამით პრიზიორთა ვინაობა უნდა გამოვლენილიყო ხუთ წონითს კატეგორიაში, დღეს კი დანარჩენ წონითს კატეგორიებში დამთავრდება შეჯიბრება.

ა. დ. გაგლაია

გარდაიცვალა 1918 წლიდან სკკპ წევრი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ავქსენტი დავითის ძე **გაგლაია.**

იგი დაიბადა 1901 წელს სოფელ ხუმუშქურში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ჭაბუკობიდანვე ჩაება მძიმე ფიზიკურ შრომაში, მუშაობდა შავიზღვისპირა რკინიგზის მშენებლობაზე, სადაც მიიღო პირველი რევოლუციური ნათლობა, აქვე შეეიდა კომუნისტური პარტიის რიგებში...

სამურზაყანოში საბჭოთა ხელისუფლების დროებით დამარცხების შემდეგ ა. გაგლაია იატაკქვეშეთში გადავიდა. იგი ორჯერ დაპატიმრეს, მაგრამ ორჯერვე მოახერხა ციხიდან გაქცევა და განგრძობდა არალეგალურ მუშაობას. 1921 წელს კვლავ იარაღით ხელში ებრძოდა მენშევიკებს, ეხმარებოდა წითელი არმიის შემტევ ნაწილებს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი სხვადასხვა პასუხსაგებ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო პოსტზე იმყოფებოდა.

ყველგან, სადაც უმუშავია, ა. გაგლაია დაუღალავად იბრძოდა რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად, ერთგულად ემსახურებოდა პარტიისა და ხალხს საქმეს. პენსიაზე გასვლის შემდეგაც, ნაწილობრივ ინვალიდობის მიუხედავად, ჩვეული ენერგიითა და შემართებით მონაწილეობდა პარტიულ და სამეურნეო მუშაობაში, ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. მრავალჯერ იყო არჩეული პარტიის რაიკომის, მასთან არსებული პარტიული კომისიის წევრად, რაიონული საბჭოს დეპუტატად.

სამშობლოს წინაშე მისი დამსახურება აღინიშნა წითელი ვარსკვლავის ორდენით, მედლებით, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების სამადლობელ სიგელებით.

სპეტაკი კომუნისტის, კარგი მოქალაქისა და ამხანაგის ა. გაგლაიას სახელი მარად დარჩება ჩვენს გულში.

საქართველოს კომპარტიის გალის რაიკომი; პარტიის ვეტერანთა რაიონული საბჭო.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

(დასასრული)

ღირსშესანიშნავ დროს ეწყობა წლევანდელი თბილისობა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით მთელ ჩვენს პლანეტაზე დაიწყო განიარაღების კვირეული. მისი დეგიზი წლევანდელი დღესასწაულის მთავარი ლაიტმოტივი გახდა. განიარაღებისათვის ბრძოლას ხომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახლა, საერთაშორისო ცხოვრებაში ისეთი დიდი პოლიტიკური მოვლენის შემდეგ, როგორიც არის საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრა რეიკიავიკში.

თბილისელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, რეიკიავიკის შეხვედრას დიდ პოლიტიკურ მოვლენას უწოდებენ, მათი აზრით, ახლა ცხადზე უცხადესია, რომ ბირთვული საფრთხის თავიდან აცილება რეალურია. მაგრამ ამისათვის საჭიროა დამკვრელური შრომით შეეტანოთ ჩვენი წვლილი მშვიდობის დაცვაში, რომ თითოეულის შრომა ერწყმოდეს ჩვენი რესპუბლიკის, მთელი ქვეყნის შრომას.

ნახევარ წელიწადზე ცოტა მეტი გავიდა სკკპ XXVII ყრილობის შემდეგ, წელიწად-ნახევარი — ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ. თითქოს, არც ისე დიდი დროა, მაგრამ ისეთი გრძნობა გეუფლება, რომ დრომ დაიჩქარა თავისი რბოლა, იმდენად აღსავსეა იგი მოვლენებით.

მიღებულია მედღეობისათვის საჩუქრების მირთმევა. თბილისი, რომელმაც ტრადიცია დაარღვია, თვითონ მოგართმევს თვით ქალაქელთა მარჯვენით შექმნილ საჩუქრებს. საკმარისია დავასახელოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ახალი შენობა ან ბავშვთა მრავალპროფილიანი 260-საწოლიანი საავადმყოფო დიღომში...

ახლა, ახალმოსახლეობას არ იკითხავთ? ეს უკვე ტრადიციაა. ათი ათას ახალმოსახლეობას იზეიმებენ თბილისობის დროს მშრომელები. მათი მისამართებია — მუხიანი და ვარკეთილი, ვაშლიჯვარი და გლდანისხევი.

ინტერვიუს გვაძლევს ერთ-ერთი ახალმოსახლე — მარგალიტა ყორყოლაძე.

— შვენიერი ოთხოთახიანი ბინა მივიღეთ საბურთალოში, — თქვა მარგო დეიდამ. — ახალმოსახლეობას გადავიხდით შვილიშვილებთან და ბადიშის შვილიშვილებთან ერთად...

— რამდენი წლის ბრძანდებით? — ვეკითხებით.

— ასეთ შეკითხვას ქალს არ აძლევენ, — იღიმება იგი. — დაახლოებით ასი. ბევრი რამ მინახავს ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ ადამიანებისათვის ასეთი ზრუნვა არასდროს არ ყოფილა. თბილისობაც ხომ ზრუნვაა ადამიანებისათვის.

...დღესასწაულის სუნთქვა იგრძნობა ყოველ რაიონში, ყოველ მოედანზე, ყოველ უბანში, ყოველ ქუჩაზე.

ოქროს შემოდგომის ნობათები

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ შემოდგომის ხვავი და ბარაკა ბაზრებს გასცდა და ქალაქის ქუჩებში გადმოიღვარა. ოც სახელდახელო ბაზრობაზე უხარებს იგი თვალს მუშტარს თავისი მრავალფეროვნებით: დახლზე ტევა არ არის — კახური ყურძენი, ქართული ვაშლი თუ მსხალი, წალკური თუ დმანისური კარტოფილი, ხახვი, მწვანილი... ცეკავშირის მიერ რესაუბლიკის სოფლებში შესყიდული 80 ტონა ხილი და ბოსტნეული თბილისის მკვიდრთა და სტუმართა სადღესასწაულო მაგიდისათვის არის განკუთვნილი. ყველა სასოფლო-სამეურნეო რაიონმა გამოუგზავნა ძღვენი დედაქალაქს.

რიყის მოედანზე ერთმანეთს ეჯიბრებიან კულინარები და კონდიტერები. პირველი კლასის რესტორნებმა — „მთაწმინდამ“, „ქალაქურმა“, „აფხაზეთმა“ ამ თავისებურ კონკურსზე საუკეთესო მუშაკები მოავლინეს.

50 ათასი მანეთის შემწვარი თუ მოხრაკული, ტკბილი თუ ცხარე კერძი გაიყიდა. ამ თანხის მისაღებად ქალაქის საზოგადოებრივი კვების სისტემას ჩვეულებრივ პირობებში სულ ცოტა ექვსი საკვირაო ბაზრობა დასჭირდებოდა.

ყავიები და წიგნები, სუვენირები და სათამაშოები, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი — თითქოსდა უზარმაზარ უნივერსალურ მაღაზიას მთელ ქალაქში გაუფანტავს თავისი განყოფილებები.

ჩვენს ეზოში კი...

ᲝᲠᲘ ათასი ქუჩა, მოედანი, ჩიხი და შესახვევია დღეს თბილისში. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე დიდი და პატარა არტერიების ვრცელ ნუსხას მიემატა 158 ახალი სახელწოდება. ეს მონაცემები მოგვაწოდა ყოველისმცოდნე „თბილისქალაქცნობამ“, რომელიც კარლ მარქსის ქუჩაზე მდებარეობს, — ეს სტატისტიკა გვახარებს, მაგრამ გვიმატებს საზრუნავს, — ამბობს ამ სამსახურის დირექტორი და „თბილისის ქუჩების“ ცნობარის შემდგენელი სულიკო სვანი.

ხალხმრავალი მაგისტრალის ორივე მხარის გაყოლებაზე მხოლოდ ორი სახლი დგას. ერთი, რომელზეც კენტი ნომერია, კიროვის რაიონს განეკუთვნება, რომელზეც ლუწი ნომერია, — კალინინის რაიონს. საზღვარია ტრამვაის ხაზი. ძველად ყოფილ ხიდის ქუჩაზე, სასტუმრო „ლონდონთან“ დადიოდა კონკა, ახლა კი აქ ხიდისაკენ დაქრიან № 5 მარშრუტის ტრამვაის წითელი ვაგონები.

თუმცა, თბილისობა ფაქიზი მცხოვრებლებისათვის უკანასკნელი დღესასწაულია ძველ კედლებში, კომუნალური ბინის მეზობლები კიბის ბაქნის მეზობლები გახდებიან ახალ რაიონებში მიღებულ იზოლირებულ, კომფორტულ ბინებში.

უჩვეულო ხალხმრავლობაა ამ დღეებში გოგიოლის ბაღში.

— მეზობლად, მუკუზნის შესახვევში ქალაქის დღეობას იხდიან № 1 სახლის მცხოვრებები. აქ ყველაფერი ისეა, როგორც ჩვეულებრივ თბილისურ სახლში, სპილენძის ონკანი შუაგულ ეზოში, თეთრეულის გასაფენი თოკები, რომლებიც ვაზებს გადახლართვია, ტოტებგაშლილი ხე, რომლის ქვეშაც გაიზარდა აქაური ბავშვების არაერთი თაობა. და თუმცა ეზო დიდი არ არის, მაგრამ ამ საღამოს ჩაიზე ყველა მეზობელი შეიკრიბა — ცამეტი ოჯახი: რაქვიაშვილები, ნოზაძეები, ჩიტოშვილები, შაგინიანები, სონღულაშვილები...

...თამადობა უფროსობით 94 წლის მარიამ ასლამაზოვას ერგო. სუფრაზეა მისი რეცეპტით დამზადებული ლეღვის მურაბა. ჩვენი მანიაშა დეიდა (ასე ეძახის ეზოში მას დიდი თუ პატარა) ათი შვილის დედაა, შვილიშვილები და შვილიშვილიშვილები კი ოცდაათზე მეტი ჰყავს. თერმეტი წლის მართა კრავცოვასაც, ისევე როგორც ყველას, ვინც ამ ეზოში გაიზარდა, მეზობელი ბებიად ეიჩნეა. მანიაშა დეიდამ გამზარდა იგი როგორც სხვა მეზობლების ბავშვებიც. კაცმა რომ თქვას, ასეთი მეზობლობა ჩვეული ამბავია თბილისური ეზოსათვის, რომლის ფენომენსაც დღეს სწავლობენ ფსიქოლოგები, არქიტექტორები, ხოტბას ასხამენ პოეტები და რომელიც ენატრებათ ახალი მიკრორაიონების მცხოვრებთ.

შემთხვევითი როდია, რომ კამკოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ მუშამ სიმონ ქოქუაშვილმა, ახალმოსახლეობა რომ გადაიხადა, უწინარესად ეზოში ვაზი დარგო. ომისა და მრომის ვეტერანი პირველი თბილისელი იყო, რომელმაც ორდენი მიიღო მაშინ მშენებარე დიღომში. ამ დღეებში მცხოვრებნი მიკრორაიონისა, რომლის მოსახლეობა უკვე 42 ათასია, მეოთხეედ საუკუნის იუბილეს იხდიან.

გეძღვნება, თბილისო!

ᲫᲐᲚᲐᲔᲑᲘ რომ კარგად გაეცნოს, თბილისში პირველად ჩამოსულ კაცს ბევრი დრო დასჭირდება. მაგრამ იმისათვის, რომ შეიყვარო იგი, საკმარისია ამ დღეებში მხატვრის სახლის სალონში შეხვიდე. აქ გახსნილია გამოფენა „თბილისი ქართველ მხატვართა შემოქმედებაში“. კაცმა რომ თქვას, თვით ქალაქელებისთვისაც ეს მშობლიურ ქალაქთან დაუვიწყარი შეხვედრაა. დაახლოებით 100 ფერწერული ტილო, გრაფიკული ფურცელი ხილული ნაამბობია დედაქალაქზე, რომელსაც შთაგონებით გვიამბობენ მათი ავტორები — სხვადასხვა თაობის მხატვრები.

დღევანდელი თბილისი, მისი წარსული, ქალაქის მშრომელთა შეხვედრები, მისი სულიერი სილამაზე და ზნეობრივი სიდიადე — აი მხოლოდ მოკლე ნუსხა თემებისა, რომლებმაც შთაგონეს მხატვრები.

თითქოს ცისარტყელას ყველა ფერით აელვარდა ე. ახვლედიანის სახელობის სბავშვო ნახატების გალერეა, სადაც გაიხსნა გამოფენა „ჩემი თბილისი“.

მეზობელ დარბაზში კი გამართულა იაპონიიდან ჩამოტანილი ბავშვთა ნახატების საერთაშორისო გამოფენა. მსოფლიოს 100 ქვეყნის ბავშვები გახდნენ მონაწილენი ამ ამაღელვებელი ექსპოზიციისა, რომლის ლაიტმოტივია მშვიდობა, მეგობრობა და ერთიანობა.

ᲥᲣᲩᲐ ᲥᲣᲩᲐᲡᲗᲐᲜ, ᲣᲑᲐᲜᲘ ᲣᲑᲐᲜᲗᲐᲜ...

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ტრადიციით შობილი დღესასწაული თავად წარმოშობს ტრადიციებს, ეროვნულისოდაც წლების განმავლობაში უკვე შეუღებელია თბილისის წარმოდგენა. წელს ერთ-ერთი მათგანი შემოვიდა ქალაქის სპორტულ ცხოვრებაში. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, იგი კი არ შემქმნია, არამედ თითქოს დაკანონდა — თბილისში ხომ ოდითგან პატივს სცემდნენ ეზოს ფეხბურთს. ამიტომ საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას, გაემართა ქალაქის ჩემპიონატი მინი-ფეხბურთში, გამოეხმაურა რამდენიმე ათასი კაცი — ფეხბურთის მეშმარიტი მოყვარულები, რომელთა უმრავლესობის ასაკი 30 წელს აღემატება. სტარტი აიღო რა სექტემბერში, ამ ნამდვილად მასობრივმა საქალაქო ტურნირმა თავის აპოგეას „თბილისობა-86-ის“ წინ მიაღწია. ყოველ შაბათს ქალაქის ძველი უბნების სახელები ცოცხლდებოდა ტურნირის მონაწილე თექვსმეტი გუნდის სახელწოდებებში.

და აი, ამ სადღესასწაულო შაბათს, მარჯვე და მხიარული კინტო — ახალი საფეხბურთო ტურნირის სიმბოლო — თითქოს ხელს უწვდიდა თავის მხიარულ თანამოძმეებს თბილისობისადმი მიძღვნილი პლაკატებიდან. სპორტის სასახლეში გაიმართა ფინალური მატჩი ვერისა და ვაკის გუნდებს შორის. გულშემატკივრებმა, რომელთა რაოდენობაც შეიძლება სხვა საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებსაც კი შეშურდეთ, სათანადოდ დააფასეს ენთუზიაზმი, ოსტატობა, და ისინიც, ვინც მატჩში მესამე ადგილისათვის იბრძოდნენ — დიდმელი და ორთაჭალელი ფეხბურთელები.

— მე რომ მკითხოთ, მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ გაიმარჯვებს ახლანდელ ტურნირში, — თქვა „ვაკის“ გუნდის კაპიტანმა ქირურგმა გელა გელაშვილმა. — მოგებული არიან ქალაქი, მისი მცხოვრებნი, მისი მესახლეობა ტრადიციები.

თითქოს ამ სიტყვების დასტურად, გასულ შაბათს დრო ამაოდ არ დაუკარგავს ბევრ თბილისელს.

სპორტულ მოედნებზე, მათ შორის ყველაზე მარტივ მოედნებზეც, მრავალსახოვნიან კორპუსებს შორის მდებარე ეზოებში ისროდნენ ფრენბურთისა და კალათბურთის ბურთებს, მარჯვედ სცემდნენ ჩოგანს, ყრუ ხმას გამოსცემდნენ გირები, ისმოდა ზურგისა და დოლის ხმა ქართულ ჭიდაობაში შეჯიბრებისას...

დღესასწაული გრძელდება...

სადღესასწაულო თბილისის ქუჩებიდან, მოედნებიდან, დარბაზებიდან კოლექტიურ რეპორტაჟს გადმოსცემდნენ საქინფორმის კორესპონდენტები.

ᲗᲔᲚᲔᲥᲝᲜᲘ

26 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — რიტმული ტანვარჯიში. 10.10 — ლოკუმენტური ფილმი. 10.20 — სპორტლოტო. 10.30 — მაღვიძარა. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — დილის ფოსტა. 12.30 — მოგზაურთა კლუბი. 13.30 — მუსიკალური კიოსკი. 14.00 — სოფლის საათი. 15.00 — „ერალაში“. 15.10 — ჯანმრთელობა. 16.10 — კონცერტი. 16.00 — კინოაფიშა. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — რომგორ ვისვენებთ. 20.30 — იუმორის საღამო ოსტანკინოს საკონცერტო სტუდიაში. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — საოპერო სცენის ოსტატები. მ. კაბალიე. 23.45 — საფეხბურთო მიმოხილვა. 0.15 — კლასიკური ჭიდაობა. 0.45 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — მხატვრული ფილმი „ოქროს ისარი“. 10.25 — რუსული მეტყველება. 10.55 — ვ. ჩაიკოვსკის სახელობის VIII საერთაშორისო კონკურსის ლაურეატთა კონცერტი. 11.50 — აშკარა — დაუჯერებელი. 12.50 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 13.25 — ავტოგრაფი. ლიტერატურული ვიქტორინა უფროსკლასელებისათვის. 14.40 — „მოგზაურობა ლეგენდების სამყაროში“. 15.10 — „საქმეს იძიებენ „ზნატოკები“. „იგი სადაც აქ უნდა იყოს“. ტელესპექტაკლი. I და II ნაწილი. 17.50 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 18.20 — „ვიმღეროთ, მეგობრებო!“ 19.55 — მულტფილმი. 20.05 — სიმფონიური და საესტრადო მუსიკის კონცერტი. 20.30 — საერთაშორისო ტურნირი ბადმინტონში. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“ 21. 20 — ა. გლასუნოვი. № 4 სიმფონია. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — ეკრანზეა კინოკომედია. „მე თქვენ სადღაც შემხვედრიხართ“.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

26 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 დილის გასართობი პროგრამა. „რიტმი, რიტმი, რიტმი...“ 11.00 — მოქმედების, გარდაქმნის, წინსვლის პროგრამა. „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“. 11.30 — კინოაფიშა. 12.00 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 12.30 — საკვირაო გამოფენა. 12.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სიცოცხლის პარკი“. 12.50 — „მსოფლიო და ახალგაზრდობა“. 13.25 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 13.55 — „თეატრალური ფოსტა“. 15.10 — საკვირაო გამოფენა. 15.20 — „ვესტნიკი“. 15.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. 16.20 — საკვირაო გამოფენა. 16.30 — „თბილისი და თბილისელები“. სატელევიზიო ჟურნალი. 17.05 — ჩვენი პრემიერა. ქართული მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „წერილი ნაძვებს“ (საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის ნაწარმოები). 17.50 — საკვირაო გამოფენა. 18.00 — მოქმედების, გარდაქმნის, წინსვლის პროგრამა — „აგრომრეწვი მოქმედებს“. 18.30 — „აქტუალური ეკრანი“. 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მ.). 19.45 — ზღაპრის გუდა. 20.00 — მოამბე. 20.40 — ქართული მხატვრული ფილმი „მზე შემოდგომისა“. 22.00 — „ვრემია“. 22.45— თბილისი ზეიმობს. 23.45 — საფეხბურთო მიმოხილვა.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

26 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში;** მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ისევ ვოდევილები** (დღისით), **ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში** (საღამოს); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **მაია წყნეთელი** (დღისით), **მეტეხის ჩრდილში** (საღამოს); მინიატიურების სახელმწიფო — **სიცრუის სიბრძნე;** მოზარდ მაყურებელთა ქართული — **საღამურა** (აბონ. № 2, 12 ს., აბონ. № 48, 7 ს.); ფილარმონია — **ანსამბლი „ლიციდელი“** (დიდ საკონცერტო დარბაზში); **გუშინდელის ხალხური ციკვის ანსამბლი** (ოფიცერთა სახლში).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲓᲘᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
Გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ
1 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

საბჭოთა კავშირის პირველობა

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ — ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“

დასაწყისი 19.00 საათზე.

ფეხბურთისა და ლატარიის ბილეთები ორგანიზაციებში გაიყიდება 27, 28 ოქტომბერს, სტადიონის სალაროებში — 27 ოქტომბრიდან. აბონემენტის მფლობელებს ლატარიის ბილეთის შეძენა შეუძლიათ № 7 სალაროში.

სალაროები ღიაა 10 საათიდან 19 საათამდე.

შესვენება — 14-15 საათამდე.

ამ გუნდების **სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი გაიმართება 31 ოქტომბერს „დინამოს“ სტადიონზე.** დასაწყისი 19 საათზე.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 05906 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორეუსი, ხოშარაულის ქ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16